პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 193 (20534) ◆ კვირა, 20 აგვისტო, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

დღის ნომერში

⊙ **პრესაში** გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმის პროექტი „პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში“. მისი განხილვა გათვალისწინებულია ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმზე. დაიწყო პროექტის საყოველთაო განხილვა **(„ცხოვრების მხარდამხარ“).**

⊙ **აფხაზეთის** ამბებთან დაკავშირებით შრომითს კოლექტივებთან შეხვედრებისას მრავალ კითხვაზე პასუხის გაცემა მოუხდათ რესპუბლიკის პროკურორსა და იუსტიციის მინისტრს **(„მოდით, ერთად ვიმუშაოთ“).**

მე-2 გვ.

⊙ **მართალია,** ბოლო ხანებში ჩვენი რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოები დიდის პრინციპულობით ეკიდებიან საპასპორტო რეჟიმის განმტკიცებას, მიწისა და საბინაო ფონდის სწორად განაწილებას, მოსახლეობის მიგრაციის რეგულირებისა და შექმნილი რთული დემოგრაფიული ვითარების მოწესრიგების საკითხებს, მაგრამ კვლავაც ხშირია შემთხვევები, როცა მიწის მიღებას, ჩაწერასა და სხვა სოციალური საკითხების მოგვარებას ადვილად ახერხებს საქმოსანი კაცი. რატომ? **(„გულუხვობა... ვის ხარჯზე“).**

მე-3 გვ.

⊙ **სასიხარულო** ამბავი მოვიდა მოსკოვიდან — ჩვენს [illegible] სსრ კავშირის სახალხო არტისტის [illegible] მიენიჭა. [illegible] **გენი ბებიისა“).**

⊙ **ამ** დღეებში უკვდავი შოთას პოემის თაყვანისმცემლებმა მშვენიერი საჩუქარი მიიღეს — საფრანგეთში, ფრანგულ ენაზე დაისტამბა „ვეფხისტყაოსნის“ გასტონ ბუაჩიძისეული თარგმანი **(„ვეფხისტყაოსნის“ ახალი პოეტური თარგმანი).**

⊙ **კვლავ** პრობლემად რჩება ჩვენი რესპუბლიკის, განსაკუთრებით თრიალეთისა და ჯავახეთის, არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლება **(„ეს ახალგაზრდობამ უნდა ითავოს“).**

მე-4 გვ.

წერილები „კომუნისტს“

ასე ხომ არ აჯობებს?

დღეს, როცა გეოგრაფიულ ადგილებს, ქალაქებსა თუ სოფლებს თავიანთი პირვანდელი სახელები უბრუნდებათ, ურიანი იქნებოდა თბილისის ქუჩებზეც გაგვემახვილებინა ყურადღება. კერძოდ, მხედველობაში მაქვს რუსთაველის გამზირი, რომელიც ლენინის მოედნიდან იწყება და რუსთაველის მოედანთან მთავრდება. მიზანშეწონილი ხომ არ იქნებოდა, გაგვეგრძელებინა იგი ვიდრე ფილარმონიის შენობამდე, რადგან, ასე თუ ისე, ლენინის ქუჩის ეს მონაკვეთი მაინც რუსთაველის გამზირის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს. ამასთან, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინამდებარე ქუჩის ნაწილისათვის, გიორგი სააკაძის ძეგლიდან კონსტიტუციის მოედნამდე, გვეწოდებინა სააკაძის ქუჩა.

კიდევ ერთი: პეროვსკაიას ქუჩას უმჯობესია ეწოდოს ცნობილი მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და ექიმის ივანე გომართელის სახელი. იგი ხომ ამ ქუჩაზე ცხოვრობდა.

გმირთა მოედანზე, ვფიქრობ, კარგი იქნებოდა ქართველთა სახელოვანი მეფის — თამარის ქანდაკება დაგვედგა, ხოლო სანაპიროზე, 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის ადგილას — დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი. თვით ამ სკვერს კი ხსოვნის ბაღი ვუწოდოთ.

თენგიზ თომაძე,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, პოლიგრაფისტი.

შვიდსაათიანი შესვენება

თუ საკუთარი თვალით არ ნახეთ, შეიძლება არც კი დაიჯეროთ, რომ ცეკავშირისა და ზუგდიდის რაიკოოპერატივის სოფლის მაღაზიებს მსხვილი ასოებით გაკეთებული აქვთ წარწერა: „შესვენება 11 საათიდან 18 საათამდე“. ისე გამოდის, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული გამყიდველები შვიდ საათს ისვენებენ. საინტერესოა, დღეში რამდენ საათს მუშაობენ? ან როდის იწყებენ მუშაობას და როდის ამთავრებენ. როგორ შეიძლება მაღაზიის 7 საათით დაკეტვა! როდისღა შეიძინოს მომხმარებელმა? ახლა კიდევ რა უჭირს, 18 საათზე სინათლეა, მაგრამ ზამთარში? ამ დროს ხომ უკვე ბნელა.

ამის თაობაზე რაიკავშირის რაიონულ გაერთიანებას რომ მივმართეთ, გვითხრეს, ამაზე ზემდგომი ორგანოების დადგენილება არსებობსო. რაში გვარგია ასეთი დადგენილება? მომხმარებლის ინტერესებიც ხომ უნდა გაითვალისწინონ?

სერაპიონ ფიფია,
პარტიის, ომის, შრომისა და კომკავშირის ვეტერანი.
ზუგდიდის რაიონის სოფელი შამგონა.

იკარუსის ფერისცვალება

ამ რამდენიმე ხნის წინათ დაინიშნა თბილის-ქუთაისის მარშრუტის ავტობუსი ექსპრესი, რომელშიც იდგა ტელევიზორი, მაცივარი, წარმოებდა რადიოგადაცემა, არ შედიოდა სადგურებში და არ აგროვებდა მგზავრებს. ესე იგი, ზედმეტი მგზავრი არ მიჰყავდა. ამიტომაც მისი ფასი 5 მანეთიდან 6 მანეთამდე გაიზარდა. ამით მგზავრები დიდად კმაყოფილნი იყვნენ. თავისუფლად მგზავრობდნენ და მეტი რა უნდოდათ. მაგრამ დროთა განმავლობაში, ტრანსპორტის მესვეურთა საქმისადმი ინდიფერენტულმა და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ ზემოთ ჩამოთვლილი უპირატესობებიდან „იკარუსს“ შეუნარჩუნა მხოლოდ ერთი — სადგურებში არ შედის, მაგრამ რა გამოვიდა, გზაში აჩერებენ მგზავრების ასაკრებად. ბოლოს ამ უპირატესობებიდან სულ აღარაფერი დარჩა, მხოლოდ ბილეთის ფასი შერჩა. (ისევ 6 მანეთი ღირს). ასევე დარჩა მძღოლის ხელფასიც.

როდემდე ასე? რატომ ვერ ამჩნევენ ამას ისინი, ვისაც ეს ეხება?

ვფიქრობთ, დადგა დრო, როცა წესრიგი უნდა დამყარდეს ყველგან და ყველაფერში, სხვანაირად ცხოვრება უკვე აღარ შეიძლება.

ჩვენი თხოვნა იქნება — აღდგეს „იკარუსი“ თავის ფორმაში, დაუბრუნდეს მას ის უპირატესობანი, რამაც განაპირობა ბილეთის ფასის გაზრდა.

მამია გოგიტაძე,
შალვა ფირცხალავა,
გრიგოლ ერაძე,
ვახტანგ აფრიდონიძე,
ბეჟან შალამბერიძე.
თბილისის მცხოვრებნი.

მხარს ვუჭერთ

ახლახან გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ვაჟა თევდორაძის წერილში „შალომ“ ჩვენს ძმობას“, რომელიც ქართველებისა და საქართველოდან ისრაელში წასულ ქართველ ებრაელთა ურთიერთობას ეხება, სწორადაა მინიშნებული ამ ურთიერთობების გაღრმავების აუცილებლობა. ებრაელებმა ღირსეულად დააფასეს ქართველების ჭეშმარიტად მეგობრული დამოკიდებულება, სითბო და ახლა მადლიერების ნიშნად შესაშური ენერგიით წარმოაჩენენ ჩვენს ისტორიას, კულტურას საზღვარგარეთ, სახავენ ურთიერთობის განვითარების სამომავლო პერსპექტივებს. სწორედ ამიტომ მხარს ვუჭერ ვაჟა თევდორაძის მოსაზრებას, რომ ქუთაისში, აგრეთვე სუჯუნაში, ბანძაში და ქართველ ებრაელთა დასახლებულ საქართველოს სხვა რეგიონებში, დაიწყოს სინაგოგების რესტავრაცია. უნდა გადაწყდეს აგრეთვე, თბილისსა და ქუთაისში ზოგიერთი სკოლების რამდენიმე კლასში ივრითის შესწავლა ქართველ ებრაელთა მოსწავლეთათვის. რაც შეეხება ქუთაისსა და ამბროლაურში? მცხოვრებ ქართველ ებრაელთა საერთო სურვილს ამ ქალაქების დაძმობილებაზე, ესეც საშური საქმეა.

ხუტა შელია.

მებრალებიან გზასაცდენილნი

ამ წერილის დაწერა გაზეთ „კომუნისტის“ 15 აგვისტოს ნომერში დასტამბულმა ქუთაისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ვალერი ბურლაკოვის სტატიამ გადამაწყვეტინა. იგი საქართველოში მცხოვრებ არაქართველებს სამართლიანად მოუწოდებს, რომ ქართველებს მხარში ამოუდგნენ, მათი ჭირი და ლხინი გაიზიარონ.

დროული, საჭირო წერილია! მე კი სხვა საკითხიც მაწუხებს, კერძოდ, ზოგმა ქართველმა ნებაყოფლობით უარი თქვა ქართველობაზე და სხვა ეროვნება მიიღო. მიმიხვდებოდით, ლაპარაკია იმ ქართველებზე, რომლებიც გააფხაზდნენ.

ბევრ ნაღდ აფხაზთან მეგობრობა მაკავშირებს, რამდენი რამ დამიწერია ლიხნელ, გუდაუთელ თუ სოხუმელ აფხაზ პედაგოგებზე. რამ უნდა დამავიწყოს ისინი! გააფხაზებულ ქართველს კი ყოველთვის ვერიდებოდი, რადგან იგი „კეთილ სულად“ არ მიმაჩნდა. როგორი ამბავია — დედა ქართველია, მამა — ქართველი, და-ძმებიც ქართველები არიან, მათი ერთი სახლიკაცი კი... აფხაზი! ვიცნობ ისეთ ოჯახებსაც, რომლის წევრებმა, რომ იტყვიან საყველპურო აფხაზურიც არ იციან, აფხაზობენ კი!

რაღა თქმა უნდა, აფხაზებს შექადლებული ასეთი ქართველი ვერავის გაუწევს ნამდვილ ძმობასა და მეგობრობას ერთი უბრალო მიზეზის გამო. ის მედროვეა, აფხაზობა იმიტომ მიიღო, რომ „სარფიანია“, მეტ „უფლებას მოიპოვებს“, ერთი სიტყვით, სამოთხის ტბაში იბანავებს.

მინდა ერთ გააფხაზებულ ქართველზე გესაუბროთ. ქუთაისის მე-4 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის პედაგოგები აფხაზეთში ექსკურსიაზე სწორედ იმ დღეებში ყოფილან, როცა იქ ტრაგედია დატრიალდა. ერთი ექსკურსანტი ციცინო ნემსიწვერაძე გაზეთ „ქუთაისში“ გამოქვეყნებულ წერილში იხსენიებს ერთ-ერთ პიროვნებას — გურამ ჩ-ძეს და წერს: „ამ გვარის გაგონებაზე სიხარული დამეუფლა. ჩემი დედაც მისი მოგვარეა და ვიფიქრე, თუ ამ კაცს მთლად არ აუღია ქართველობაზე ხელი, იქნებ, გვიხსნას იმ ფათერაკებიდან, რომელიც წინ გველის მეთქი.

მართლაც ხერგილთან მოვიდა ორი მამაკაცი, რომლებმაც გვიბრძანეს. ჩაჯექით ავტობუსში და წამოდითო. „ესაა გურამ ჩ-ძე?“ ჩაილაპარაკა მეგობარმა და ერთ-ერთზე მიმითითა. მეც შეშინებული მივუახლოვდი და ვკითხე რუსულად (ისინი რუსულად გველაპარაკებოდნენ).

— თქვენ ბრძანდებით გურამ ჩ-ძე?

— კი.

— თქვენ ლეჩხუმელი ხომ არა ხართ, სოფელ ზუმიდან? ლეჩხუმიდან ბევრია გადასახლებული აფხაზეთში, ხოლო თქვენი მოგვარეები ზუბში ცხოვრობენ.

— დიახ, ამ სოფლიდან წამოსულა ჩემი პაპის პაპა...

— მაშინ მე ზუბელი იასონ ჩ-ძის შვილიშვილი ვარ მეთქი, — ვუთხარი.

— რას მელაპარაკები გოგო შენ? — ქართულად დაიყვირა ამ კაცმა და... ქართველები განსაცდელისაგან იხსნა.

მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ... ისევ ც. ნემსიწვერიძეს მოვუსმინოთ: „აფხაზეთს რომ გამოვცდით, ავტობუსში მსჯელობა დაიწყეს და დაგმეს ის ქართველი, რომელმაც მშობლიური ერის შვილობა უარყო. საკითხავია, ისიც — რამ მიიყვანა აქამდე იგი?“.

ნათელია, ქალბატონო ციცინო, ანგარებამ, პრივილეგიის მოპოვების სურვილმა!

ჩ-ძეები, წერეთლები, გვარამიები, ბიგვავები, ტაბაღუები... ფეხის ხმას აყოლილნი გულში ისევ ქართველობენ და ორ ცეცხლს შუა იწვიან. ამას ყველაზე უკეთ აფხაზეთში მცხოვრებნი გრძნობენ.

მეორე ექსკურსანტი ანტისა ყვავაძე ყვება: აფხაზეთის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებლებმა გვითხრეს — „ნუ ენდობით გურამ ჩ-ძეს, იგი გააფხაზებული ქართველია და გიღალატებთო“.

ასეა, უძღებ შვილებს, ზურგი რომ აქციეს მშობელ დედას, ყველას თვალში ნდობა აქვთ დაკარგული. ასეთი კაცი საშიშია, სანდო არ არის. თავისთვის ხელსაყრელ შემთხვევაში იგი ისევე დაუნანებლად გასწირავს აფხაზს, როგორც თავის დროზე შეგნებულად უღალატა თავის ერს.

ადრე თუ გვიან ადამიანი უთუოდ აგებს პასუხს საკუთარ საქციელზე. ეს კარგად უნდა ახსოვდეს ყველას, ვინც თავისდა სავალალოდ თქვა უარი ყველაზე ძვირფასზე, რაც კი ადამიანს მინიჭებია და რაზეც ასე დიდებულად ბრძანა პოეტმა „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი, მზის მხურვალება გარს რომ ავლია“.

ისე ნურავინ გამიგებს, თითქოს ნიშნის მოგებით ვამბობდე ყოველივე ამას: მებრალებიან გზასაცდენილნი; ღვიძლი დედის უარმყოფელს არავინ ისურვებს მოყვრად და მეგობრად. ისე, თავს თუ მოიტყუებენ, არაფერი დაგვიკარგავსო.

მოიტყუებენ თავს, მაგრამ როდემდე!...

აკაკი ჯიქია,
ჟურნალისტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

შევუნახოთ შთამომავლობას

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკაში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის საქმე უკანასკნელ ხანს გაუმჯობესდა და ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა შეიძინა. ყოველწლიურად იზრდება ბიუჯეტიდან და სხვა წყაროებიდან გამოყოფილი სახსრები, რომლებიც 1989 წელს 7,5 მილიონ მანეთს შეადგენს და 1988 წელთან შედარებით 500 ათასი მანეთით მეტია. პასპორტიზებული და სახელმწიფო აღრიცხვაზე აყვანილია 31 რაიონისა და ქალაქის რესპუბლიკური მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლები. 1980-1988 წლებში მოხდა 500-მდე ძეგლის კონსერვაცია და აღდგენა. ამჟამად სამუშაოები ერთდროულად მიმდინარეობს 115 ობიექტზე. ძეგლთა დაცვის საქმის შემდგომ გაუმჯობესებაში დიდი როლი ენიჭება საყოველთაო განხილვისათვის გამოქვეყნებულ „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო პროგრამის“ პროექტს.

ამასთანავე, აღნიშნულია დადგენილებაში, 1988 წელს გამოყოფილი 7 მილიონი მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 95,9 პროცენტი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება ჯეროვანი გულმოდგინებით არ განიხილავენ მატერიალური კულტურის ძეგლების აღრიცხვის, დაცვისა და გამოყენების საკითხებს, მწვავედ არ აფასებენ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს. არცთუ იშვიათია ისტორიული მნიშვნელობის ნაგებობათა სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების შემთხვევები და სხვა დარღვევები ხაშურის, დუშეთის, მცხეთისა და ზოგიერთ სხვა რაიონში, თბილისში, ქუთაისსა და ცხინვალში.

ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს უყურადღებოდ აქვთ მიტოვებული ისტორიული ძეგლები ქ. ტყიბულის ზონაში, ამბროლაურის, თელავის, ქობულეთისა და ბევრ სხვა რაიონში. გაჭიანურდა დილმის, მცხეთის, ძალისისა და სხვა არქეოლოგიური ძეგლების დაკონსერვების სამუშაოები. არ არის დამყარებული საქმიანი ურთიერთობა არქეოლოგიური გათხრების მწარმოებელ და ძეგლის დამცველ მხარეებს შორის. მცირე ტირაჟებითა და დასახელებით გამოდის ბუკლეტები, გზამკვლევები, ალბომები და საფოსტო ღია ბარათები. არ არის ჩამოყალიბებული ხელოვნების ნაწარმოებთა რესტავრაციის სახელოსნო. მდარეა რესტავრაციისა და კონსერვაციის ხარისხი. განახლებასა და განმტკიცებას საჭიროებს სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საქართველოს სსრ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის საქმიანობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან და სხვა სამეცნიერო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ჩამოაყალიბოს ძეგლთა კონსერვაციის, რესტავრაციისა და ადაპტაციის მეცნიერული უზრუნველყოფის სისტემა. 1991 წლამდე უნდა დამთავრდეს რესპუბლიკური მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა პასპორტიზაცია, ხოლო 1995 წლისათვის უზრუნველყოფილი იყოს ამ ნუსხის გამოცემა კრებულად ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, დაინტერესებულმა სამინისტროებმა და უწყებებმა სამართალდამცავი და ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობით სრულად უნდა გამოიყენონ „საქართველოს სსრ კანონი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“. მიმდინარე წელს მოეწყობა მუზეუმ-ნაკრძალების დათვალიერება, ამ დაწესებულებების მუშაკთა ატესტაცია.

1990 წლისათვის შემუშავდება რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების ისტორიული უბნებისა და ნაგებობების ადაპტაციის გეგმა 2000 წლამდე. შემოწმდება უკანასკნელ წლებში ძეგლების დაკონსერვებისა და რესტავრაციის შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი, მოეწყობა ძეგლების შემოწმება-ატესტაცია, შემოღებული იქნება სამუშაოთა სახელმწიფო მიღების წესი.

მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ ძეგლთა დაცვის ორგანოებისათვის ავტოტრანსპორტის და მექანიზმების გამოყოფა, ისტორიის, არქეოლოგიისა და კულტურის ძეგლების შესახებ ალბომების, გამოკვლევების, ტურისტულ-საექსკურსიო და სუვენირული გამოცემების კონკრეტული გეგმის შედგენა 1990-1995 წლებისათვის და მისი უზრუნველყოფა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობის კანონმდებლობის უზრუნველყოფის მიზნით დადგინდა საკულტო ნაგებობების რელიგიური საზოგადოებისათვის გადაცემა მოხდეს მხოლოდ სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომებსა, ძეგლთა დაცვისა და გამოყენების უწყებასა და რელიგიურ საზოგადოებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა რესტავრაცია-კონსერვაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოებში ახალგაზრდათა მონაწილეობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნას ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ახალგაზრდული გაერთიანება.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, ტყიბულის, ხაშურის, დუშეთის, მცხეთის, ცხინვალის, ქობულეთის, ოზურგეთის, ამბროლაურის, თელავის, ხელვაჩაურის, კასპის, ასპინძისა და სხვა რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ უახლოეს დროში განიხილონ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების საქმეში მათი მონაწილეობის საკითხები; მოაწყონ ძეგლების რესტავრაციისა და ადაპტაციის პროექტების საჯარო განხილვა, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ძეგლების მოვლა-პატრონობისათვის ადგილებზე ჩასული ახალგაზრდული რაზმების საველე მუშაობას.

დიდი როლი ეკისრება დადგენილებაში საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებას, რომელმაც თვითდაფინანსების საფუძველზე უნდა შექმნას ქართული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა პროპაგანდის ბიურო, დაამზადოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ემბლემიანი ახალი ნიმუშების დამცავი დაფები და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მეშვეობით უზრუნველყოს მათი ძეგლებზე დადგმა. შეიმუშაოს ღონისძიებები ხალხური მხატვრული რეწვის ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, დააარსოს საზოგადოების პრეზიდიუმთან ხალხური მხატვრული რეწვის საქმეთა საკოორდინაციო ცენტრი.

(საქინფორმი).

წრფელი სჯა-ბაასი მომავალზე

ქართული სოფლის აღორძინებისათვის ზრუნვა რესპუბლიკის სოციალური პროგრამის რეალიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, ამის შესახებ გულახდილი, წრფელი სჯა-ბაასი, გაიმართა სოფლების წერაქვისა და სიონის მცხოვრებთა შეხვედრაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ბონდო ჯიქიასთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგესთან ვაჟა ლორთქიფანიძესთან, რესპუბლიკის უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელებთან.

ზურმუხტად მოხასხასე მთის კალთებს, დარაჯებად რომ მიუყვება ვენახების ლარივით სწორი მწკრივები, მოცისფერო ნისლი შეფენია. ასფალტის სერპანტინს, მათ შორის რომ მოიკლაკნება, მოულოდნელად გამოვყავართ ფართო უნაგირაში, სადაც გზის ორივ მხარეს ახალთახალი ქათქათა ორსართულიანი. სახლები მიმოფანტულა. სწორედ აქ, წერაქვში, გამოჩენილი ქართველი მწერლისა და განმანათლებლის მიხეილ ჯავახიშვილის სამშობლოში პოვეს თავშესაფარი ზარად ჩამოსულმა სვანებმა. მათმა ნაწილმა ბინა დაიდო მეზობელ სიონში, გულითადად შეხვდნენ ჩამოსახლებულ სვანთა ოჯახებს ადგილობრივი გლეხები.

— ძალიან გვახარებს სვანების მეზობლობა, — გულწრფელად გვეუბნება ახალგაზრდა პირმოცინარი წერაქველი ქალი რიტა ბურნაძე, — მზად ვართ ყველაფერი ვუწილადოთ, რაც გაგვაჩნია. ჩვენს სიხარულს ემატება ისიც, რომ კვლავ გვიბრუნდება სიცოცხლე, შენდება სახლები, ღვივდება კერა. თორემ მე და ჩემი მეუღლე ლევანი ამ რამდენიმე წლის წინ სერიოზულად ვფიქრობდით კაზრეთში გადავსულიყავით. მაგრამ ახლა კმაყოფილი ვართ, რომ შეცდომა არ დავუშვით.

ბურნაძეების სამი ვაჟი სწავლობს დღეს წერაქვის საშუალო სკოლაში, ხოლო მათი მშობლები, ისევე როგორც წერაქველთა დიდი უმრავლესობა, მუშაობენ საბჭოთა მეურნეობა „ხალიბში“, რომელიც რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ეკუთვნის.

— სიონი და წერაქვი მართლაც რომ აღორძინდნენ ამ რამდენიმე წელიწადში, რაც ჩვენი სუსტი მეურნეობა სამეურვეოდ გადაეცათ რუსთაველ მეტალურგებს, — ამბობს საბჭოთა მეურნეობის აგრონომი გივი შალამბერიძე. — სახლებში წყალი გაიყვანეს, აშენდა ახალი სკოლა და საბავშვო ბაღი, იგება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მექანიზებული კომპლექსი და საფრინველე 5 ათასი ფრთისათვის, მალე გაწყლოვანდება საგუბურე მეურნეობა. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, აქაური სოფლების სიცოცხლის აღორძინებას, რომლებსაც ამ ათიოდ წლის წინათ ნასოფლარებად გადაქცევა ემუქრებოდა.

გივი შალამბერიძე, რომელიც წარმოშობით აქაურია, სიამაყით გვიჩვენებს გასახარ ცვლილებებს: მწვანედ მობიბინე მრავალწლოვანი ბალახის მდელოებს — საბჭოთა მეურნეობის ნახირის საკვებ ბაზას, საგულდაგულოდ მოვლილ ნათესებს, სამანქანო პარკს, რომელზეც ადრე ვერც კი იოცნებებდნენ. დღეს სოფელს უამრავი საქმე აქვს, სამუშაო ყველას მოეძებნება, მთავარია, გული გულობდეს!

წერაქვის სასოფლო კლუბთან, რომელსაც ზედ შუა ფერდობზე ამოუყვია თავი, ხალხი შეკრებილა, ღელავს. საწუხარიც აქვთ. ცენტრალური კომიტეტის მდივანი წერაქველებთან ერთად ბჭობს: როგორ იცხოვრებენ ხვალ, რა უნდა იღონონ, რომ სოფელს ქალაქზე უარესი კი არა, უკეთესი ცხოვრება ჰქონდეს?

და ადამიანებიც დაუფარავად უზიარებენ გულისნადებს. ძალზე აკლიათ კვალიფიციური პედაგოგები სკოლებში. ავდარში უგზოობა აწუხებთ, დიასახლისები ოცნებობენ „ქალაქურ გაზზე, თან, ურიგო არ იქნებოდა ტელევიზორით მეორე რესპუბლიკურ პროგრამასაც „იჭერდნენ“... ბევრ კითხვაზე დაუყოვნებლივ იღებენ პასუხს. დიალოგში ხომ სხვებთან ერთად მონაწილეობენ იმ უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელებიც, რომლებზეც არის დამოკიდებული ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრა. და ადამიანებს სჯერათ, რომ სიტყვას საქმე მოჰყვება, ვინაიდან დღეს უკვე სხვაგვარად არ შეიძლება იყოს. სხვაგვარად არც იქნება.

გიორგი კალანდაძე,
საქინფორმის სპეც. კორ.

პასუხისმგებლობა პედაგოგისაგან იწყება

როგორც ცნობილია, რესპუბლიკაში 2 ოქტომბერს იწყება ახალი სასწავლო წელი. მაგრამ მისი ძირითადი კონტურები, მიმართულებანი უკვე დღეს განისაზღვრება. 18 აგვისტოს საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროში გაიმართა გაფართოებული სამუშაო თათბირი, რომელზეც მოწვეული იყვნენ განათლების სისტემის საქალაქო და რაიონული ქვეგანაყოფების ხელმძღვანელები.

თათბირზე გამოსვლისას საქართველოს სახალხო განათლების მინისტრმა გ. ენუქიძემ, მისმა მოადგილეებმა საგანგებოდ გაუსვეს ხაზი, რომ საჭიროა ყოველმხრივი, ნაყოფიერი მზადება მეცადინეობის დაწყებისათვის. ამიტომ მაქსიმალურად წარმატებით უნდა გამოიყენონ დარჩენილი დრო, აგვისტო-სექტემბრის მომავალი პედაგოგიური კონფერენციები, რათა უზრუნველყონ ნამდვილად შემოქმედებითი პროცესი, ჭეშმარიტი ცოდნის დღესასწაული.

თათბირზე დაწვრილებით გააანალიზეს, კერძოდ, დიფერენცირებული, სამსაფეხუროვანი სწავლების ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთანავე შეუწყნარებელია, აღნიშნეს გამოსულებმა, როდესაც პროფტექნიკურ სასწავლებლებს თვლიან რაღაც სახელოსნოებად, სადაც ვითომდა სულაც არ არის აუცილებელი სრულფასოვანი სასწავლო პროცესი. სასწავლებლებში ნაკლები უნდა იყოს მოჩვენებითი აქტიურობა, თითიდან გამოწოვილი ფრაზეოლოგია, მაღალფარდოვანი ლოზუნგები. საჭიროა საქმიანი მიდგომა, პრინციპულობა, რასაც, უნდა ვიფიქროთ, უდავოდ შემატებს სკოლის საქმიანობას ახალგაზრდა პედაგოგთა ასოციაცია, მისი სექციები, ადგილებზე რომ იქმნება.

შეკრებილთ პასუხი გასცეს სხვადასხვა შეკითხვაზე, რომლებიც მათ აინტერესებდათ. მაგალითად, მათ შეიტყვეს, რომ აბიტურიენტები, რომლებმაც დადებითი შეფასება მიიღეს გამოცდებზე, ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლებში ამა თუ იმ ფორმის სწავლებაზე.

დაასახელეს ამჟამად რესპუბლიკაში მშენებარე ახალი სკოლების რაოდენობა — 173. თანაც, მათგან 43 უკვე 1 სექტემბრისათვის უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ. როგორც ჩანს, ითქვა თათბირზე, სასწავლო წელს არ გავახანგრძლივებთ, ბოლო ზარი, როგორც ყოველთვის 25 მაისს დაირეკება. მაგრამ იმისათვის, რომ ეს მოხდეს, ყოველი პედაგოგი მოვალეა სრული პასუხისმგებლობით მოემზადოს მეცადინეობის დაწყებისათვის, მოიფიქროს და სწორად გაანაწილოს დროის მიხედვით თავისი სასწავლო პროგრამა. (საქინფორმი).

მწვავე სიგნალი

დანაკლისი უთუოდ უნდა გადაიფაროს

რესპუბლიკაში ჭირს მეორეული შავი ლითონის დამზადების სახელმწიფო შეკვეთების შესრულება

როგორც ადრინდელ პუბლიკაციებშიც აღვნიშნავდით, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაავალა სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს, ყველა ლითონჩამბარებელ ორგანიზაციას, რომ ყოველი ღონე იხმარონ შავი ლითონის ჩაბარების სახელმწიფო დავალების უთუო რეალიზაციისათვის და ყოველთვიური გეგმების შესრულების თაობაზე დამდეგი თვის ხუთ რიცხვში მოახსენონ რესპუბლიკის მთავრობას.

როგორც წლის განვლილი პერიოდის მაჩვენებლები ცხადყოფს, იქ, სადაც პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ლითონის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულებას, შედეგებიც კარგი აქვთ. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, თბილისის პირველი მაისის, რუსთავის, ჭიათურის, ფოთის, აბაშის, ახალციხის, ადიგენის, მარტვილის, ლანჩხუთის, ონის, საგარეჯოს, სამტრედიის, წალენჯიხის და სენაკის ლითონჩამბარებელ ორგანიზაციებში.

მაგრამ კვლავაც არის ისეთი ქალაქები და რაიონები, სამინისტროები და უწყებები, რომლებმაც ყურად არ იღეს ჩვენი კრიტიკული შენიშვნები, ანგარიში არ გაუწიეს იმას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს შავ ლითონს მეტალურგიული და მანქანათმშენებელი ქარხნების გამართული მუშაობისათვის და ჩაშალეს ლითონდამზადების შვიდი თვის გეგმები.

მაგალითად, აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ გეგმას დააკლო 1565 ტონა, აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ — 930, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა — 279, მარნეულის რაიონმა — 509, ოზურგეთისამ — 380, დუშეთისამ — 277, კასპისამ — 183, მცხეთისამ — 527, თბილისის საქარხნო რაიონმა — 831, ლენინისამ — 358, კიროვის რაიონმა — 330, გლდანის რაიონმა — 93 ტონა.

ჩვენს ადრინდელ კრიტიკულ შენიშვნებზე არ რეაგირებენ და კვლავაც უსისტემოდ და უპასუხისმგებლოდ მუშაობენ ქუთაისის ლენინის რაიონის, ტყიბულის, წყალტუბოს, მარნეულის, ახალქალაქის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, ქარელის, ყვარლის, ლაგოდეხის, მესტიის, თერჯოლის, თეთრი წყაროს, ხობის ლითონჩამბარებლები, რომელთა ცუდმა მუშაობამ განაპირობა უწინარესად რესპუბლიკაში ამ მხრივ გეგმის შეუსრულებლობა.

პასიურობენ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები და მოსწავლე ახალგაზრდობა. მათ სახელმწიფოს დააკლეს 2200 ტონაზე მეტი ლითონი. განსაკუთრებით ცუდად იმუშავა რუსთავის კომკავშირულმა ორგანიზაციამ, რომელმაც 770 ტონაზე მეტი ლითონი დააკლო სახელმწიფოს, თბილისელმა კომკავშირელებმა კი 1118 ტონაზე მეტი ჯართი დააკლეს გეგმის შესრულებას. ასევე ცუდად იმუშავეს აფხაზეთის, აჭარის, ტყიბულის, ქ. მარნეულის, ბოლნისის, ბორჯომის, გურჯაანის, დმანისის, ზესტაფონის, საგარეჯოს, სამტრედიის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო 20 წლის მანძილზე საქართველოს კომკავშირმა პირველად ჩაშალა ჯართის დამზადების გეგმა, რაც სათანადო კომკავშირული ორგანოების სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ამ მხრივ რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებმაც 7 თვის გეგმას 3085 ტონაზე მეტი ლითონი დააკლეს. სცოდავენ ცალკეული სამინისტროებიც, კერძოდ, საავტომობილო გზებისა და ტრანსპორტის სამინისტრომ გეგმის შესრულებას დააკლო 1030 ტონაზე მეტი ლითონი, მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა — 2058 ტონაზე მეტი. სახელმწიფოს ასობით ტონა ლითონი დააკლეს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ, ტყვარჩელის მეშახტეებმა, თბილისის ელექტრომშედუღებელმა, ბათუმის ელექტრომექანიკურმა, რუსთავის ფოლადთუჯსამსხმელო და ამწეების, ბათუმის მანქანათმშენებელმა ქარხნებმა, თბილისგვირაბმშენის გაერთიანებამ და სხვ...

შვიდი თვის გეგმა არ შესრულდა. მდგომარეობის გამოსწორებისათვის საჭიროა, რომ აგვისტოში დამზადდეს არა მარტო თვის გეგმით გათვალისწინებული, 33500 ტონა ლითონი, არამედ გადაიფაროს 7 თვის გეგმის შესრულებაში დაშვებული 6 ათასი ტონა ლითონის დანაკლისიც.

ასე რომ, ამ მნიშვნელოვან უბანზე საქმის მდგომარეობა მართლაც სერიოზულია. ამიტომ მუშაობის გარდაქმნა-გააქტიურება მართებს ყველას, ვისაც შავი ლითონის დამზადება ევალება. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, სახალხო კონტროლის ორგანოებმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. ეს საკითხი კვლავაც იქნება ჩვენი სისტემატური ყურადღებისა და კონტროლის საგანი.

„კომუნისტის“ ეკონომიკის განყოფილება

განვახორციელოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმის გადაწყვეტილებები

უამინდობასთან ჭიდილში

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის რეიდი წალენჯიხის რაიონში

წალენჯიხელ მეჩაიეებს, ისევე როგორც სამეგრელოს რეგიონის სოფლის მეურნეობის სხვა მშრომელებს, ამინდი არ ანებივრებთ. სტაბილური მზიანი დღეები ენატრება აქაურ გლეხკაცს. არადა, სამუშაოები მოძალდა სოფლად. ჩაი ხომ ისეთი კულტურაა, დარსა და ავდარშიც ერთნაირად რომ მოითხოვს ზრუნვასა და ყურადღებას. საკმარისია ერთი დაყოვნებაც და, დუყები გაუხეშდება. ამიტომაც ჩქარობენ წალენჯიხელები, უამინდობასთან ჭიდილში იღვწიან იმისათვის, რომ შეასრულონ საგეგმო დავალება — მოკრიფონ 29.700 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

16 აგვისტოსათვის რაიონში სულ დამზადებულია 24.360 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, წლიური გეგმა შესრულებულია 82 პროცენტით. დამზადებულ ნედლეულში პირველი ხარისხის ფოთლის ხვედრითმა წილმა 51,9 პროცენტი შეადგინა.

— ჩვენი მეჩაიეების ამჟამინდელი მიღწევები, — გვითხრა პარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველმა მდივანმა ვალერი ჭანტურიამ, — ძირითადად მონარდეთა და ოჯახური იჯარით მომუშავეთა დამსახურებაა. ამ ახალი, პროგრესული მეთოდებით იღვწიან მეჩაიეები და მეჩაიე-მექანიზატორები, რაც საუკეთესო შედეგებს გვაძლევს. ჩაის ფოთლის კრეფის სეზონს კოლმეურნეობები, წალენჯიხის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატი და გადამმუშავებელი მრეწველობა კარგად მომზადებული შეხვდნენ. წინა წლებთან შედარებით უკეთ მიმდინარეობს მექანიზებული კრეფაც. წელს საკრეფ აპარატებზე (მცირე მექანიზაციაზე) რომ არაფერი ვთქვათ, პლანტაციებში მუშაობს 99 მობილური მანქანა. იყოჩაღეს მოიჯარე მექანიზატორებმა, მანქანებსაც კარგად მოუარეს, შეუფერხებლად ამუშავეს და სათადარიგო ნაწილებისა და საწვავის დიდძალი ეკონომიაც გასწიეს. დღეისათვის მათ წლიური გეგმა 80 პროცენტით აქვთ შესრულებული.

აქვე მინდა აღვნიშნო ნაკიფუს, საჩინოს ჟდანოვის და ამავე სოფლის კომუნიზმის სახელობის მოიჯარე კოლმეურნეთა ერთი გადაწყვეტილება. მათ, რაიონში პირველებმა, უარი თქვეს მცირე მექანიზაციით მუშაობაზე, რადგან იგი, თუნდაც აპარატის არასრულყოფილობის გამო, ბევრ სიძნელესა და უხერხულობას ქმნის. ამიტომაც აქაურმა მოიჯარე მექანიზატორებმა ელექტრიფიცირებულ პლანტაციებში მცირე მექანიზაციის ნაცვლად მობილური მანქანების გამოყენებით გადაწყვიტეს საგეგმო 650 ტონა ნედლეულის დამზადება. ხარისხის გაუმჯობესებით მიღებულ მოგებაზე რომ არაფერი ვთქვათ, კოლმეურნეობები წლეულსვე მარტო ხელფასის ფონდში მიიღებენ 125 ათას მანეთამდე მოგებას. ვფიქრობთ, ეს ინიციატივა სხვა კოლმეურნეობებშიც დავნერგოთ...

მდივანთან საუბრის შემდეგ ცალკეულ საზოგადოებრივ მეურნეობებს მივაშურეთ. წარმატებით შრომობენ წალენჯიხის აგროსამრეწველო კომბინატის მექანიზატორები, ისინი ტრადიციას არ ღალატობენ. მაჩვენებლებიც, როგორც ხარისხის მხრივ, ასევე რაოდენობითაც ურიგო როდი აქვთ. წლეულს აგროსამრეწველო კომბინატის (დირექტორი — შახი ლატარია) მუშები 4.150 ტონა ჩაის ნედლეულს დაამზადებენ. დღემდე მოკრეფილი აქვთ 3.500 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, რომლის პირველი ხარისხი 50,9 პროცენტია. ეს მაჩვენებელი ცუდი არ არის, რადგან კომბინატში ჩაის მასა მთლიანად მექანიზაციით იკრიფება. ამას ისიც გვათქმევინებს, რომ პროდუქცია კომბინატშივე ფასოვდება და მომხმარებელი მისი კმაყოფილია, რეკლამაცია არ მიუღიათ. კომბინატის ჩაის ფაბრიკას გადასამუშავებლად სხვა მეურნეობებიც აბარებენ ნედლეულს. შემოწმების დღეს ვნახეთ ობუჯის, საჩინოს ჟდანოვის, ჯგალის კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობების მეჩაიეთა უხეშად ნაკრეფი ფოთოლი, რომელსაც ფაბრიკის დანადგარები ძლივსღა ამუშავებდნენ.

ეწრის კოლმეურნეობა რაიონში ეკონომიკურად ერთ-ერთი ძლიერი საზოგადოებრივი მეურნეობაა. იგი სეზონში 2.520 ტონა ჩაის ფოთოლს კრეფს. ეწრელებს კარგი სოციალური პირობები აქვთ შექმნილი, რაც ცალკე საგაზეთო მასალის თემაა. ამ მრავალდარგოვან კოლმეურნეობაში სხვა დარგებიც მნიშვნელოვან შემოსავალს იძლევა, მაგრამ აქ მაინც ჩაია პირველი. წინა წლებში ჩაის ფაბრიკები ვერ აუდიოდნენ ეწრელ მეჩაიეთა მიერ დამზადებული ნედლეულის მიღება-გადამუშავებას, იყო საყვედურები. საკითხი წლეულს როგორც იქნა, დადებითად გადაწყდა. საქმე ის გახლავთ, რომ ეწრის კოლმეურნეობას ჯვარის ჩაის ფაბრიკა შეუერთდა და იგი კოლმეურნეობა-კომბინატად გადაკეთდა.

ეს თვით ჩაის ფაბრიკისთვისაც სასარგებლო გამოდგა, რადგან კოლმეურნეობამ მისი შეერთების პირველი დღიდანვე ფაბრიკის კაპიტალური რემონტის, ახალი საამქროების მშენებლობის, ამორტიზებული, მოძველებული მანქანა-დანადგარების ახლით შეცვლისა და სხვა სამუშაოებისათვის მნიშვნელოვანი სახსრები გამოყო. ნედლეულის მიღება-გადამუშავებასთან ერთად ახლა ეს სამუშაოებიც პარალელურად მიმდინარეობს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩაის ფაბრიკების რემონტი დროულად დამთავრდა და ისინი სეზონს მომზადებული შეხვდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია წალენჯიხის ჩაის კომბინატის, წალენჯიხის № 3, ნაკიფუს, ლიის, ფახულანის ჩაის ფაბრიკების გამართული და შეუფერხებელი მუშაობა. თუმცა ზოგიერთი კოლმეურნეობა მათ კვლავაც აწვდის უხარისხო და უკონდიციო ნედლეულს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ 139.940 კილოგრამი უკონდიციო ნედლეული მხოლოდ ლაო ჩაის დასამზადებლადღა გამოდგა. ამგვარი ნედლეულის დამზადების „რეკორდი" ნაკიფუს სტალინის (16,5 ტონა), მიქავას (21,6 ტონა), ჭალეს (22,5 ტონა) კოლმეურნეობებს ეკუთვნით. მათ ბევრად არც ნაკიფუს შეროზიას, ობუჯის, ჯგალის კვარაცხელიას, წალენჯიხის მარქსის, ლიას „თბილისის", მუჟავას, საჩინოს კომუნიზმის, წალენჯიხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობები ჩამორჩებიან, რომელთა მიერ მოტანილი უკონდიციო ნედლეულიც ლაო ჩაის მისაღებად გამოიყენეს. ეს მით სავალალოა, რომ დასახელებულ კოლმეურნეობებში ბევრი მოწინავეა და ჩაის ფოთლის კრეფის წლიურ გეგმას 20-25 აგვისტოსათვის შეასრულებენ.

არ შეიძლება გულისწყრომით არ აღვნიშნოთ საჩინოს ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობა და უნიათობა, რომელსაც ისინი თავიანთი მშრომელებისადმი იჩენენ. შემოწმების დღეს კოკისპირულად წვიმდა. წალენჯიხა-ლიის მიმართულებით გზისპირა ფარდულისათვის შეეფარებინათ თავი აქაურ მეჩაიეებს. რეიდის მონაწილეები მანქანიდან ჩამოვედით და ტალახიანი გზით ფარდულისაკენ გავსწიეთ. ენა არ მოგვიბრუნდა, რომ რამე საკითხზე გვესაუბრა მეჩაიეებთან. ჯერ იყო და, უსაფენოდ პირდაპირ ტალახში დაყრილმა ჩაის ფოთოლმა გაგვიფუჭა გუნება-განწყობილება, მერე იმან, რომ 20-25 ფეხზე მდგომი მეჩაიე ძლივს ეტეოდა ვიწრო ფარდულში. განა ასე შეიძლება? ნაჯაფ მეჩაიეს იმის საშუალება არ უნდა ჰქონდეს, რომ მუშაობის შემდეგ ფარდულში დაისვენოს, ახალი ჟურნალ-გაზეთები წაიკითხოს, გამაგრილებელი სასმელები მიირთვას? ეს არის მეჩაიეთა შრომის დაფასება?

ახლა კი ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ საკითხზე, რომლის თაობაზეც რეიდის მონაწილეებს ბევრგან მოგვიხდა საუბარი.

მრავალდარგოვანია მცირემიწიანი წალენჯიხის სოფლის მეურნეობა. მარტო ჩაის კულტურას 3.500 ჰექტარი უჭირავს, სხვა მრავალწლიან ნარგავებს — 210 ჰექტარი. 1.610 ჰექტარი სახნავ-სათესია. ბოლო წლებში დიდი ყურადღება მიექცა მეცხოველეობის აღმავლობას, მაგრამ მისი პროდუქტების წარმოება-დამზადების ყოველწლიურმა მატებამ „ზემოდან" საგეგმო დავალების დაუსაბუთებელი ზრდა გამოიწვია. რატომღაც დღემდე საგეგმო დავალების დადგენის უმთავრეს პრინციპად მიღებულია მიღწეული დონის მნიშვნელოვანი ზრდა, თანაც, ისე, რომ მცირემიწიანობასა და საკვების უქონლობას არ ითვალისწინებენ. არადა, ძვირად შეძენილი და შემოზიდული საკვებით პროდუქციასაც აძვირებენ.

წინა წლებზე რომ არაფერი ვთქვათ, შარშან მეცხოველეობიდან მიღებულმა ზარალმა 2.539 ათასი მანეთი შეადგინა. წლეულს ზარალი უფრო გაიზრდება, რადგან გაზრდილია ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოება-დამზადების გეგმები. ამ ზარალს ჩაის შემოსავალი ფარავს. წალენჯიხელებს სასაყვედურო ისა აქვთ, რომ 2005 წლამდე გათვალისწინებულია ახალი პლანტაციების გაშენება 550 ჰექტარზე. საამისოდ შერჩეული ფართობიდან 245 ჰექტარი სახნავ-სათესია, 359 ჰექტარი — ტყე, 88 ჰექტარი — ბუჩქნარი და ბუჩქნარიანი საძოვარი, 47 ჰექტარი კი სათიბ-საძოვარი. გასაკაფავად და ამოსაძირკვად განწირული 359 ჰექტარი ტყის მასივები ძირითადად პირველი კატეგორიისაა და განლაგებულია დიდი დაქანების ფართობებზე. ამიტომ მათი ამოძირკვა დაარღვევს ეკოლოგიურ ბალანსს, გამოიწვევს მიწის დამეწყრებას და ეროზიას. რაც შეეხება 245 ჰექტარი სახნავისა და 42 ჰექტარი საძოვრის ხარჯზე ჩაის პლანტაციების გაშენებას, ამის შედეგად მეცხოველეობის ისედაც დეფიციტური საკვებისა და სამარცვლე სიმინდის წარმოება კიდევ უფრო საგრძნობლად შემცირდება.

როგორც რაიონის ხელმძღვანელობა, ისე მოსახლეობაც წინააღმდეგია ჩაის ახალი პლანტაციების გაშენებისა. შესაბამის ორგანოებს ამის თაობაზე აცნობეს და სთხოვეს შეიქმნას კომისია ეკოლოგების, გეოლოგების, ბუნების დაცვის, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომლებიც კომპლექსურად შეისწავლიან დაყენებულ საკითხებს და კომპეტენტურ გადაწყვეტილებასაც მიიღებენ.

მართლაც დროა აღმოიფხვრას დაუსაბუთებელი და ზერელე დაგეგმვის, ამა თუ იმ რაიონის მშრომელთა აზრის გაუთვალისწინებლად სახნავი მიწების, საძოვრებისა და ტყე-ბუჩქნების გაკაფვა-ათვისების ხარჯზე ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების მანკიერი პრაქტიკა. ამას იმიტომაც ვლაპარაკობთ, რომ ადრე გაშენებული პლანტაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ბევრგან მოუვლელობით დაკნინდა და გახმა. მაშ მოდით, ჯერ გაშენებულს მოვუაროთ, შემდეგ კი რეალურად დავგეგმოთ ახლის გაშენება, თუ ეს მაინცდამაინც ასე აუცილებელია ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისათვის. ამ საკითხებს ჩვენი გაზეთი კვლავაც შეუნელებელ ყურადღებას დაუთმობს.

რეიდის მონაწილეები: გალუშა სახოკია — წალენჯიხის აგროსამრეწველო კომბინატის მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი; **გონელი სალია** — ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის დირექტორი; **რამინ გოგოხია** — სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე; **ვაჟა ჩაჩიბაია, გიორგი ნოდია** — „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტები.

სიტყვა პარტიის ეროვნულ პლატფორმაზე

ცხოვრების მხარდამჭერი

ჩვენს დროში, როცა ეროვნული თვითშეგნების ზრდა მსოფლიო პროცესი გახდა, წინა პლანზე დგება ეროვნული საკითხი, საზოგადოებრივი ცხოვრების ეს ურთულესი პრობლემა.

სწორედ ოქტომბრის გამარჯვების შედეგად ჩვენი ქვეყნის ბევრმა ერმა აღორძინა ან პირველად შექმნა საკუთარი სახელმწიფოებრიობა, სხვადასხვა ფორმის ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიები. საბჭოთა ფედერაციის საფუძველზე ერთიან, საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანებულმა ყველა ერმა ერთობლივი ძალისხმევით განახორციელა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის სოციალისტური გარდაქმნა. დაისახა და ხორციელდებოდა ხალხთა ეკონომიკური განვითარებისა და მატერიალური უზრუნველყოფის დონეთა გათანაბრების ამოცანები. ჩამოყალიბდა ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი.

ოქტომბრით მოპოვებული ხალხთა მეგობრობა სრულად გამოვლინდა სამამულო ომში, როცა ყველა საბჭოთა ადამიანი აღდგა თავისი მრავალეროვანი სამშობლოს დასაცავად და ერთად მოიპოვეს გამარჯვება ფაშიზმზე.

ახალი ინდუსტრიული, სამეცნიერო და კულტურული ცენტრების შექმნის შედეგად შეიცვალა ქვეყნის ეროვნული რუკა. დღეს არ არის ტერიტორია, სადაც ერთად არ ცხოვრობდნენ და შრომობდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. შეიცვალა დემოგრაფიული სიტუაცია, რომელსაც ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა ახასიათებს. ყველაფერი ეს მოითხოვს ეროვნული პოლიტიკის რადიკალურ განახლებას, რაც უწინარესად გარდაქმნის კონკრეტული ამოცანებით არის ნაკარნახევი.

საბჭოთა ხალხების მეგობრობა გახდა ჩვენს ქვეყანაში ეროვნებათშორისი ურთიერთობის ნორმალური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ეს იყო უფროსი თაობის ადამიანთა დაუღალავი შემოქმედებითი შრომის შედეგი. ახლა კი ცხოვრების სარბიელზე გამოდიან ახალ-ახალი თაობები, რომელთა ცნობიერებაზე უარყოფით გავლენას ახდენს ეროვნულ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები და გადახვევები.

უკანასკნელ დროს ერთაშორისი ურთიერთობა საბჭოთა კავშირში ერთობ გამწვავდა. საგაფიცვო მოძრაობა, ეროვნული კონფლიქტები, რომლებიც ქვეყნის ხან ერთ, ხან მეორე რეგიონში იფეთქებს ხოლმე, მოწმობს, რომ ამ სფეროში დაგროვდა ბევრი გადაუჭრელი პრობლემა, რაც დიდად ამუხრუჭებს გარდაქმნას.

ქვეყანაში შექმნილი რთული კრიზისული სიტუაციის დასაძლევად საჭიროა საზოგადოების ყველა კლასისა და სოციალური ფენის კონსოლიდაცია, მთელი მისი ძალების მაქსიმალური მობილიზება. სწორედ ამ პირობებში საბჭოთა ერების და ერთაშორისი ურთიერთობის განვითარების მომწიფებული საკითხების დროულად გადაწყვეტას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება გარდაქმნისათვის და, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის.

პარტიამ გარდაქმნის საერთო კონცეფციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად მიიჩნია თანამედროვე პირობებში ეროვნული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც სამამულო და მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის თავისუფალ განვითარებას, მათს თანასწორუფლებიანობას, მეგობრობას და თანამშრომლობას. ამ მიზნით შეიქმნა და გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმის პროექტი — „პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში", რომლის განხილვა გათვალისწინებულია ცენტრალური კომიტეტის ეროვნებათშორისი ურთიერთობისადმი მიძღვნილ მომავალ პლენუმზე. პარტიის ამ პლატფორმაში ჩამოყალიბებულია საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის რევოლუციური განახლების შესაბამისი ეროვნული პოლიტიკის სტრატეგიული ამოცანები და ძირითადი მიმართულებანი.

პლატფორმა უპირველესად ითვალისწინებს საბჭოთა ფედერაციის რადიკალურ გარდაქმნას, მის შევსებას რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური შინაარსით. ჩვენი ფედერაციის მთავარი პრინციპია ერთ საკავშირო სახელმწიფოდ საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების სრული ნებაყოფლობა, რომელშიც თითოეული რესპუბლიკა ინარჩუნებს რეალურ დამოუკიდებლობას.

რესპუბლიკების ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანებამ შესაძლებლობა მისცა ხალხებს განეხორციელებინათ თვითგამორკვევისა და საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის უფლება. მაგრამ სოციალიზმის დეფორმაციებმა, მართვის მბრძანებლურ-ბიუროკრატიულმა მეთოდებმა, რომლებსაც უკიდურესად ცენტრალიზებული ერთფეროვანი სტრუქტურები სჭირდებოდა, უგულებელყვეს ეროვნული განვითარების მოთხოვნილებები. საერთოსახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის საბაბით იზღუდებოდა რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, ფაქტობრივად ძალას იკრებდა უნიტარიზმის ტენდენცია.

ჩვენს პარტიას მთავარ პოლიტიკურ ამოცანად მიაჩნია სრული ძალით გამოიყენოს საბჭოთა ფედერაციის უდიდესი პოტენციალი, მისი მეშვეობით უზრუნველყოს ყველა საბჭოთა ერის მრავალფეროვან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რათა თითოეულმა მათგანმა მიიღოს თავისი ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის ფართო შესაძლებლობანი ჩვენს ქვეყანაში შექმნილ მძლავრ სახალხო-სამეურნეო კომპლექსზე, სამეცნიერო და კულტურულ პოტენციალზე დაყრდნობით, რათა ამ პოლიტიკას მივყავდეთ საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალური შეკავშირებისაკენ. ამიტომ კი არ უნდა დავგმოთ საბჭოთა ფედერაციის დადებითი გამოცდილება, არამედ გამოვიყენოთ და სრულვყოთ იგი.

საბჭოთა ფედერაციას საფუძვლად უდევს მთავარი იდეა, რომელიც გამოიხატება საყოველთაოდ აღიარებული ფორმულით: ძლიერი კავშირის გარეშე არ არის ძლიერი რესპუბლიკები, ძლიერი რესპუბლიკების გარეშე არ არის ძლიერი კავშირი. ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია გადაეცეთ რესპუბლიკებს ყველა უფლება, რომლებიც შეესაბამება მათს, როგორც სუვერენულ სოციალისტურ სახელმწიფოთა, სტატუსს. მათ უფლება აქვთ გადაწყვიტონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საკითხი იმათ გარდა, რომლებსაც ისინი ნებაყოფლობით გადასცემენ კავშირის გამგებლობაში.

უკანასკნელ დროს ჩვენში საკმაოდ მოიკიდა ფეხი იმ შეხედულებამ, რომ ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარებიდან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება თითქოს იყოს სსრ კავშირიდან გასვლა, სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება. ამის გარკვეულ საფუძველს მართლაც იძლევა ჩვენი ცხოვრების ბევრი მხარის მოუწყობლობა. გამოყოფის პროპაგანდისტთა მიზანიც ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებაა და ამის გამო არ შეიძლება ანათემას მივცეთ ისინი.

და მაინც ხომ არ აჯობებდა, რომ ჩვენი ფედერაციის ფარგლებშივე ახლავე შევდგომოდით იმ საქმეს, რაც გამოყოფის შემდეგ უნდა გვეკეთებინა? მით უმეტეს, რომ საკავშირო სახელმწიფოს დამაარსებელი თითოეული რესპუბლიკისათვის უკვე შექმნილია არა მარტო ეკონომიკური, არამედ ნამდვილი პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ყველა პირობა. ამას ითვალისწინებს პარტიის ეროვნული პოლიტიკის პლატფორმაც.

ამასთან ერთად, სრული გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ გამოყოფის შემდეგ რომელიმე მდიდარი კაპიტალისტური ქვეყანა გაგვიმართავდა ხელს, რაც ძალიან საჭიროა, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, მაშინ [illegible] უნდა დაემშვიდობო იმ დამოუკიდებლობას, [illegible] ვწოდით? [illegible] კაპიტალის არსებობა აგებულია მხოლოდ მოგებაზე და ტყუილად დოვლათს არავინ არიგებს.

ქვეყანაში შექმნილი მწვავე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალია მუხლჩაუხრელი მუშაობა და არა გაფიცვები, მიტინგები და დემონსტრაციები, რომლებიც კიდევ უფრო ძაბავენ ისედაც რთულ მდგომარეობას. ჩვენ გვიხსნის მხოლოდ რესპუბლიკის ყველა ხალხის კონსოლიდაცია, მათი თავდადებული, პატიოსანი შრომა, ერთობლივი ძალისხმევა ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის, პირველ რიგში სასურსათო კრიზისის დაძლევისათვის.

პარტიის პლატფორმა გადაჭრით უარყოფს ყოველგვარ ეროვნულ შეზღუდულობას, კუთხურობას, კორპორაციულობას, უწყებრიობას, პარტიის დანაწილებას ეროვნებათა მიხედვით, რომ დაუშვებელია ხდებოდეს რაიმე გამიჯვნა ეროვნულ ნიადაგზე არც პარტიულ რიგებში, არც შრომით კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ამასთან აუცილებელია, რომ განმტკიცდეს რესპუბლიკების კომპარტიების დამოუკიდებლობა და ავტორიტეტი. მათ უფლება ენიჭებათ თავიანთი შეხედულებისამებრ გადაწყვიტონ პარტიული ცხოვრების ყველა ძირითადი საკითხი — ორგანიზაციულ-სტრუქტურული, საკადრო, ფინანსური საკითხები. სკკპ პროგრამის ფარგლებში მათ უფლება აქვთ მიიღონ თავიანთი პოლიტიკური დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ სპეციფიკურ ეროვნულ მოთხოვნილებებსა და კომუნისტთა საქმიანობის პირობებს.

პარტია მტკიცედ გმობს ეროვნული კულტურების შელახვის ყოველგვარ ფორმებს და თავის ამოცანად მიაჩნია უზრუნველყოს სსრ კავშირის ყველა ხალხის სულიერი ცხოვრების თავისუფალი განვითარება. იქმნება ყველა პირობა სსრ კავშირის ხალხთა ენების შემდგომი განვითარებისათვის. იმ ეროვნების ენის სახელმწიფო ენად აღიარების მიზანშეწონილობის საკითხი, რომელმაც სახელწოდება მისცა მოკავშირე ან ავტონომიურ რესპუბლიკას, თვით რესპუბლიკების კომპეტენციად ცხადდება.

ერთაშორისი კონფლიქტების დაძლევისათვის საჭიროა არა თვითიზოლაცია და ადამიანთა შორის კავშირების დაქსაქსვა, არამედ ხალხთა კონსოლიდაცია, მათი ძალღონის გაერთიანება. ერთაშორისი ურთიერთობის დაძაბულობის მკვებავი წყაროა ქვეყნის ეკონომიკური დაქვეითება, მაღაზიების ცარიელი დახლები, რამაც განაპირობა სხვა ნეგატიური მოვლენების წარმოშობაც. ამიტომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი უნდა ვეძებოთ ეკონომიკის გაჯანსაღებაში, სოციალიზმის სრულყოფაში, პარტიის ეროვნული პოლიტიკის შემოთავაზებული პლატფორმის თანამიმდევრულად განხორციელებაში და ისეთი მუდმივი მორალური ღირებულებების დამკვიდრებაში, როგორიცაა გონიერება, სიბრძნე და სიდინჯე.

ამასთან ერთად, ბუნებრივ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ამა თუ იმ რესპუბლიკაში მიგრაციული პროცესები წლების მანძილზე ქმნიდა ისეთ დემოგრაფიულ გადახრებს, რომლებმაც მკვიდრი ერის მოსახლეობა თავის ტერიტორიაზე გადააქცია უმცირესობად, რომელსაც უკვე გაქრობა ემუქრება. ამიტომ საჭიროა პარტიის ეროვნულ პოლიტიკის პლატფორმაში გავითვალისწინოთ მიგრაციული პროცესების მართვა, რესპუბლიკების მიერ მათზე კონტროლის დაწესება.

ვლადიმერ მერკვილაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი.

სახლები აჭარლებისათვის

საქართველოს ყოველმა მცხოვრებმა გულისტკივილით აღიქვა აჭარელთა ტრაგედია, რომლებიც სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალდნენ. მათ მთელი ხალხი ეხმარება.

უსახლკაროდ დარჩენილთა ბევრი ოჯახი გადასახლდა ახალქალაქის რაიონში. სოფელ ოკამში მათთვის შენდება 80 საცხოვრებელი სახლი. ყველა სამუშაო სწრაფი ტემპით და ხარისხიანად მიმდინარეობს. სახლებს აგებს საქართველოს სახმშენის № 9 სამშენებლო ტრესტის მეორე სამმართველო. განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ სამშენებლო ბრიგადები, რომლებსაც მეთაურობენ უჩა ჯავარაშვილი, ფილიმონ ლომიძე, რომან კობესოვი.

მშენებელთა ხშირი სტუმრები არიან რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები. ახლახან მათ ესტუმრა ბორჯომის კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადა.

სურათებზე: № 2 სამშენებლო სამმართველოს უფროსი სულიკო ლოლოშვილი მშენებლებს დღიურ დავალებებს აძლევს; ახალქალაქის რაიონის სოფელ ოკამში შენდება სახლები აჭარლებისათვის.

საქინფორმის ფოტო.

აქტუალური საკითხი

წლევანდელი სამეურნეო წელი ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის ექსტრემალური კლიმატური პირობებისა თუ სხვა მიზეზების გამო გამორჩეულად რთული და პასუხსაგები პერიოდი რომ გახლავთ, ყველასათვის კარგად არის ცნობილი. სწორედ ამის გათვალისწინებით მათ განსაკუთრებული მობილიზება და ყველა რეზერვის ამოქმედება მართებთ, რათა დროულად, ხარისხიანად და უდანაკარგოდ აიღონ და დააბინაონ მოსავალი. ამისათვის კი, ბევრ სხვა რამესთან ერთად, საჭიროა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამართული მუშაობა, საწვავ-საპოხი მასალებით მისი შეუფერხებელი მომარაგება.

რა კეთდება საამისოდ რესპუბლიკაში და როგორია უახლოესი მომავლის პერსპექტივები? — აი, ძირითადად ამ საკითხზე ვთხოვეთ მოკლედ ეპასუხა საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ბახვა ლობჟანიძეს.

შეფერხებები არ უნდა დავუშვათ

რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის საწვავ-საპოხი მასალებით შეუფერხებელი უზრუნველყოფა, გვითხრა მან, ჩვენი კომიტეტის განსაკუთრებული ყურადღების საგანია. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აგრომრეწვის სისტემა საგაზაფხულო სახნავ-სათესი სამუშაოების შესრულებისას მთლიანად იყო უზრუნველყოფილი სათანადო რესურსებით. ამ დროის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს საგეგმო 132850 ტონის ნაცვლად მივაწოდეთ 133111 ტონა ავტობენზინი, ანუ გეგმა 100,3 პროცენტით შევასრულეთ. სადიზელე საწვავის მიწოდების გეგმას კი დავაკელით და იგი 99,3 პროცენტით შევასრულეთ. შეფერხებათა თავიდან აცილების მიზნით აგროსამრეწველო კომიტეტთან ერთად ოპერატიულად გადავანაწილებდით ხოლმე რესურსებს, რის წყალობითაც საწვავ-საპოხი მასალების ნაკლებობის გამო სამუშაოები არ დაბრკოლებულა.

წლის მეორე ნახევარში კი რუსეთის, უკრაინისა და ყაზახეთის ტერიტორიებზე მოსავლის აღების კამპანიის დაწყებამ და, ამასთანავე, რესპუბლიკაში შექმნილმა სატრანსპორტო გადაზიდვის შეფერხებებმა მნიშვნელოვნად გაართულა ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფა. მარტო ივლისსა და აგვისტოს პირველ ნახევარში რესპუბლიკას დააკლდა 47 ათასი ტონა ბენზინი და 20700 ტონა დიზელის საწვავი.

მაგრამ ასეთი დაძაბული სარესურსო სიტუაციის მიუხედავად, საკავშირო მინისტრთა საბჭოს მითითების, ჩვენი და აგროსამრეწველო კომიტეტების ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე აგრომრეწვის სისტემას ნავთობპროდუქტებს ვაწვდით არა დამტკიცებული ლიმიტების, არამედ შემუშავებული გრაფიკის შესაბამისად. ამ გრაფიკის მიხედვით სოფლის მშრომელთათვის ივლისში უნდა მოგვეწოდებინა 24 ათასი ტონა ბენზინი. პრაქტიკულად კი მივაწოდეთ მხოლოდ 21500 ტონა. მდგომარეობა ამჟამადაც დაძაბულია. და სწორედ ასეთ ფონზე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის კარგი მუშაობა, რომელმაც გეგმის გადამეტებით მოგვაწოდა ათასობით ტონა ბენზინი და დიზელის საწვავი.

აუცილებელია აღინიშნოს ფინანსური სიძნელეებიც, რაც გარკვეულწილად ართულებს ნავთობპროდუქტების შეუფერხებლად შემოზიდვას. იმის გამო, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკის ნავთობმომწოდებელი საწარმოების უმეტესობა ახლა სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპით მუშაობს, ისინი დავალიანების შემთხვევაში წყვეტენ საწვავის მოწოდებას. დღეისათვის კი აგრომრეწვის სისტემის ტრანზიტულ მომხმარებლებს აქვთ 3,3 მილიონი მანეთის დავალიანება. თუ ეს დებიტორული დავალიანება დროულად არ დაიფარა, მიწოდების გეგმების შესრულება საეჭვო გახდება. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ ვთხოვო აგრომრეწვის სისტემის მუშაკებს, ზედმიწევნით განახორციელონ რესურსდამზოგი ღონისძიებები და ყაირათიანად გამოიყენონ მიღებული რესურსები. მომჭირნეობა მნიშვნელოვან ეკონომიას მოგვცემს და საგრძნობლად დაგვეხმარება კიდეც დაძაბულობის შენელებაში.

მაგრამ, ცხადია, მხოლოდ ამის იმედით არა ვართ, ხორციელდება სათანადო ღონისძიებები. კერძოდ, უკვე მიღწეულია შეთანხმება აზერბაიჯანის სს რესპუბლიკასთან დამატებით 7000 ტონა ბენზინის მიღების თაობაზე. უახლოეს პერიოდში შემცირდება სადიზელო საწვავის შემოზიდვაში არსებული ჩამორჩენაც.

რედაქციისაგან: როგორც ვხედავთ, მდგომარეობა მართლაც სერიოზულია. არადა, მოსავლის აღების სამუშაოთა ფრონტიც და ტემპიც დღითიდღე სულ უფრო გაფართოვდება და გაძლიერდება. ეს უნდა გაითვალისწინოს ყველამ, ვინც რამდენადმე მაინც არის დაკავშირებული ამ მეტად მნიშვნელოვან კამპანიასთან და სათანადო ღონისძიებებიც ოპერატიულად განახორციელოს. ეს საკითხი კვლავაც იქნება ჩვენი გაზეთის სისტემატური კონტროლის საგანი.

მოდით, ერთად ვიმუშაოთ

სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების პროცესი წარმოუდგენელია სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაში საჯაროობის დაუმკვიდრებლად. სისტემატური ხასიათი მიენიჭა ამ ორგანოების ხელმძღვანელთა შეხვედრებს რესპუბლიკის შრომით კოლექტივებთან. ეს განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როდესაც მოსახლეობას სრულიად უტყუარი ინფორმაცია სჭირდება ზოგიერთ რეგიონში მომხდარი ამბების შესახებ.

ოჩამჩირეში საქართველოს რესპუბლიკის პროკურორი ვახტანგ რაზმაძე შეხვდა კომბინირებული საკვების კომბინატის, ჩაის საწონი ფაბრიკის, მთელი რიგი ახლომდებარე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლებს, რომლებმაც ერთობლივი საგაფიცვო კომიტეტი შექმნეს და მტკიცედ მოითხოვეს — მთლიანად შეცვალონ რაიონის ხელმძღვანელობა, რომელმაც დაუშვა ვითარების გამწვავება ეროვნებათშორის საფუძველზე.

საუბარი ძნელი გამოდგა, ვინაიდან რთულია თვით რეგიონის სიტუაცია. მომხდარის დეტალური შეფასება მხოლოდ გამოძიების დამთავრების შემდეგ შეიძლება. მაგრამ ამთავითვე აშკარაა, რომ რაიონში, სადაც ქართული მოსახლეობა დიდ უმრავლესობას შეადგენს, ხარვეზებია კადრების შერჩევასა და განაწილებაში, რამაც გარკვეულწილად გაამწვავა მდგომარეობა. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა თავის მხრივ გამოიტანეს სათანადო დასკვნები — ოჩამჩირის რაიონის პროკურორი და შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან, რაც აცნობეს შეკრებილთ. მარტო ეს ღონისძიებები, ცხადია, ვერ გადაწყვეტს ერთბაშად ყველა პრობლემას, მაგრამ უდავოა ისიც, რომ ყოველგვარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად შეიძლება იღვწოდე და უნდა იღვწოდე მხოლოდ კანონიერი მეთოდებით, დიალოგის საფუძველზე.

— ასეთ შეხვედრებს ორმხრივი სარგებლობა მოაქვს, — თქვა ვ. რაზმაძემ. — ვიმედოვნებ, რომ მოსაუბრეებმა — არადა, ადგილობრივმა კლუბმა, სამწუხაროდ, ვერ დაიტია ყველა მსურველი, — შეძლეს უკეთ გარკვეულიყვნენ სიტუაციაში. ამავე დროს ჩვენც უფრო ღრმად ჩავწვდით იმ საკითხთა არსს, რომლებიც მშრომელებს აწუხებს. ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს: ერთმანეთს რომ მოვუსმინეთ, ჩვენ შევძლებთ დავამყაროთ საზოგადოებრიობასთან კონტაქტი, რომელიც ესოდენ აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

ჩემი მხრივ, დავსძენ, რომ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილესთან ვლადიმერ კრავცევთან ერთად სოხუმში შევხვდი აფხაზეთის ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს. წამოყენებულ იქნა მოთხოვნა, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში მომხდარი ამბების გამოძიებას ხელი მოჰკიდოს უშუალოდ საკავშირო პროკურატურამ. სწორედ იგი გადაწყვეტს ამ საკითხს. ჯერჯერობით კი გამოძიებას განაგრძობენ შექმნილი ოპერატიულ-საგამოძიებო ბრიგადები. სხვათა შორის, მათს შემადგენლობაში არიან არა მარტო საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის, არამედ აგრეთვე მოსკოვის, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების სამართალდამცავი ორგანოების კვალიფიციური სპეციალისტები. არ არის არც ერთი ფაქტი, რომელიც მოწმობდეს ვისიმე არაობიექტურ მიდგომას დაკისრებული საქმისადმი.

„...აფხაზეთის ამბებთან დაკავშირებით ბევრ კითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს ვიქტორ შარაშენიძესაც, რომელიც შეხვდა თბილისის საწარმოო სამკერვალო გაერთიანებისა და ონკოლოგიური ცენტრის, აგრეთვე რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის" კოლექტივებს. მშრომელებს აინტერესებდათ, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი რამ, სად იყვნენ პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოები, ვინ და რა პასუხს აგებს მომხდარი ამბისათვის, რატომ არ აქვეყნებენ ახლავე მკვლელთა სახელებს.

— სულ ჩვეულებრივი, რიგითი სისხლის სამართლის საქმის გამოც კი, — შეგვახსენა მინისტრმა, — გამოძიებისათვის დადგენილია ორი თვის ვადა. დღესდღეობით ეჭვს არ იწვევს, რომ სიტუაცია რეგიონში ხელიდან გაუშვეს. დამნაშავეებს, მათ მიმართ პარტიული, დისციპლინური და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომებს უთუოდ განვსაზღვრავთ, მაგრამ — მხოლოდ გამოძიების დამთავრებისა და სხვა მასალების ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ. რაც შეეხება სახელებს, აქ ყოველგვარი ემოცია უნდა დავძლიოთ. სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისას დაუშვებელია დავივიწყოთ უდანაშაულობის პრეზუმფცია — მხოლოდ სასამართლოს შეუძლია უწოდოს ადამიანს დამნაშავე. სხვათაშორის, ამჟამად სასამართლოშია ორი საქმე — გაგრაში დროშის წაბილწვისა და გუდაუთის რაიონში ავტობუსის მგზავრებზე თავდასხმის ფაქტების გამო.

მიიღეს რა ეს ახსნა-განმარტება, შეხვედრების მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ საგამოძიებო ორგანოები ჯეროვან პრინციპულობასა და დამოუკიდებლობას გამოიჩენენ და ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანენ გამოსაძიებელ საქმეებს.

გასაგებია საზოგადოებრიობის ინტერესი კანონმდებლობის სრულყოფის პროცესისადმი. მინისტრმა დაწვრილებით გააცნო მოსაუბრეებს საქართველოს სსრ მთელი რიგი ახალი კანონების მზადების მიმდინარეობა. როდესაც გამოითქვა წინადადებანი შეიქმნას კანონები, რომლებიც პრიორიტეტს დაუმკვიდრებდნენ ძირითად მოსახლეობას, მან თქვა:

— საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით კანონის დაწერა საკმაოდ იოლი საქმეა. მაგრამ ყოველი კანონი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ნორმებს, რომლებიც კრძალავენ პრიორიტეტებს ეროვნული ნიშნების მიხედვით. შემთხვევითი როდია, რომ ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში, მისი ლიდერების გამოსვლებში ყოველთვის ხაზგასმით აღინიშნებოდა საქართველოს ყველა მცხოვრების თანასწორი უფლებები. ასე იცავდნენ რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტს. ჩვენც მოვალენი ვართ ანგარიში გავუწიოთ ამ ფაქტორს. მით უმეტეს, რომ ბევრი პრობლემის გადასაჭრელად საკმარისია ორგანიზაციული და საკადრო ცვლილებანი. მაგალითად, მიწის კანონმდებლობის დარღვევებმა, რომლებმაც ნეგატიური გავლენა მოახდინა დემოგრაფიულ სიტუაციაზე, განაპირობა მთელ რიგ თანამდებობის პირთა მიერ დაკისრებული ფუნქციების არაკეთილსინდისიერი შესრულება.

თვით იუსტიციის სამინისტროში სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით მუშავდება საკადრო პოლიტიკის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სისტემის მუშაკებისათვის [illegible] წაყენებულ ყველა მოთხოვნას. შეხვედრების მონაწილეებმა გაიზიარეს მოყვანილი არგუმენტები და ხაზი გაუსვეს, რომ ისინი დარწმუნდნენ, განსაკუთრებით შრომით კოლექტივებთან ამხანაგ გივი გუმბარიძის ამასწინანდელი შეხვედრების შემდეგ, რომ რესპუბლიკის ახლანდელ ხელმძღვანელობას სწორად ესმის აქტუალური პრობლემები.

დიდი მნიშვნელობა აქვს მეორე მომენტსაც, რომელზეც ყურადღება გაამახვილა იუსტიციის მინისტრმა.

— აფხაზეთის ამბების შემდეგ, — აღიარა მან, — პირველ ხანებში ჩვენ, ცოტა არ იყოს, ხელიდან გავუშვით ინიციატივა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონტაქტებსა და ურთიერთობაში. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს უარი გვეთქვას მათთან კონტაქტებზე. პირიქით, დიალოგისა და თანამშრომლობისათვის ვიწვევთ ყველას, მზად ვართ დავეხმაროთ იურიდიული ნორმების განმარტებაში, თავიდან ავაცილებინოთ წინდაუხედავი ნაბიჯი. გარდა ამისა, ვფიქრობ, სასარგებლო იქნებოდა ისეთი პრაქტიკა, რომ ერთად შეგვესწავლა, ვთქვათ, ქორწინებისა და განქორწინების პრობლემები სახალხო სასამართლოებსა და მმაჩის ორგანოებში შეკრებილი მონაცემების ანალიზის საფუძველზე, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ ესა თუ ის დემოგრაფიული ტენდენცია. იგივე ითქმის არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების პრობლემებზე, სასამართლო პროცესების ეთიკაზე სახელმწიფო ენის გამოყენების პრიზმით და ა. შ. ერთი სიტყვით, მოდით ერთად ვიმუშაოთ, ჩვენი კარი ყოველთვის ღიაა თქვენთვის. (საქინფორმი).

პოზიცია

ერთი მიმართვის ათასი შეუსაბამობა

მოსკოვში ქართველთა სათვისტომოს შექმნას მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა მოწონებითა და სიხარულით შეხვდა. სამწუხაროდ, რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში სათვისტომოების მოწყობის ტრადიცია ოქტომბრის გადატრიალების უმალვე მოიშალა, არადა მას ყოველთვის უაღრესად დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჯერ ერთი, სათვისტომო აერთიანებდა ამათუ იმ ქალაქში დროებით თუ მუდმივად მცხოვრებ თვისტომთ, შეძლების კვალობაზე წარმართავდა სამშობლოს მოწყვეტილ ადამიანთა სულიერ ცხოვრებას, უწევდა მათ მატერიალურ თუ სხვა სახის დახმარებას, ახორციელებდა განუყოფელ კავშირს სამშობლოსთან და იმ ქალაქის საზოგადოებასთან და კერძო პირებთან, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებთან, რომელშიც ეს სათვისტომო არსებობდა, ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას და სხვა.

ერთ-ერთი ასეთი დიდი კულტურული ღონისძიება გახლდათ სულმნათი აკაკის იუბილე, მოსკოვის ქართველთა სათვისტომომ რომ გამართა და რომელსაც იმპერიის სატახტო ქალაქის დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

არაერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ქართული საქმე გააკეთა სანკტ-პეტერბურგის ქართველთა სათვისტომომ, რომლის წევრთა შორის იყვნენ ჩვენი ერის უდიდესი კორიფეები ილია ჭავჭავაძით დაწყებული და ნიკო მარით, ივანე ჯავახიშვილით, გიორგი ახვლედიანითა და აკაკი შანიძით დამთავრებული. იდეა ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა სწორედ ამ სათვისტომოს წიაღში დაიბადა და გულმხურვალე ეროვნულ მოღვაწეთა დაუღალავი მეცადინეობით, რომელთაც სათავეში პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატდოცენტი ივანე ჯავახიშვილი ედგა, კიდევაც განხორციელდა.

ქართველ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერმუშაკთა ხალხმრავალი სათვისტომო იყო ტარტუს, ანუ იურიევის, იგივე დერპტის უნივერსიტეტთან, რომელმაც საქართველოს არა ერთი ღირსეული მამულიშვილი აღუზარდა, მათ შორის გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ რობაქიძე.

წარმოუდგენელია ქართული ემიგრაციის არსებობა საფრანგეთში, აგრეთვე ევროპისა და ამერიკის სხვა ქვეყნებში იმ სათვისტომოების გარეშე, რომლებიც მათ აერთიანებდა და დღესდღეობითაც აერთიანებენ. თუ არა სათვისტომოები, თავს რომ უყრიდნენ და ერთ მუშტად ჰკრავდნენ ერთ ბედქვეშ მყოფ თანამემამულეებს, ისინი, მით უფრო მათი მომდევნო თაობები დიდი ხნის წინათ დაკარგავდნენ მშობლიურ ენას, მშობლიურ კულტურასთან და სარწმუნოებასთან სისხლხორცეულ კავშირს, ეროვნებას და თანდათან იმ ერში გაითქვიფებოდნენ, რომელი ერის გარემოცვაშიაც ცხოვრება უხდებოდათ. თუ ეს ასე არ მოხდა და ემიგრაციაში მყოფმა ქართველებმა თავიანთი ეროვნული სახე შეურყვნელად შეინარჩუნეს, სწორედ სათვისტომოებს უნდა ვუმადლოდეთ და რაოდენ სიხარულის მომგვრელია, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების მეოხებით კვლავაც აღდგა 70 წლის წინათ სრულიად უმართებულოდ უკუგდებული სათვისტომოების შექმნის ტრადიცია და მოსკოვში მცხოვრები ათასობით ქართველი დღეს თავისი მშობლიური სათვისტომოს წევრია, საშუალება ეძლევა მშობლიურ ენაზე ილაპარაკოს, თვალი ადევნოს მშობელი ერის ცხოვრების მაჯისცემას, იცხოვროს მისი ამაღლებული ინტერესებით, იყოს მისი უტყუარი ფარი და მახვილი ყველგან და ყოველგვარ ვითარებაში.

თუ იმ მასალის მიხედვით ვიმსჯელებთ, სათაურით „კეთილგონიერება, თავშეკავება, სიდინჯე" გაზეთ „კომუნისტის" ამა წლის 9 აგვისტოს ნომერში რომ დაიბეჭდა, იმედი, რომ მოსკოვის ქართველთა სათვისტომო ამ თავის მამულიშვილურ მისიას პირნათლად შეასრულებს, პირადად მე, მეტი რომ არა ვთქვა, ფუჭ იმედად მეჩვენება.

მასალა, რომლის გარშემოც ქვემოთ მექნება საუბარი, რედაქციისათვის საქინფორმს მიუწოდებია, საქინფორმს კი მისთვის საფუძვლად დაუდევს, ერთი მხრივ, ღია წერილი ალან ჩოჩიევისადმი, რომელსაც მოსკოვის ოსური კულტურის საზოგადოება „ფარნის" სახელით ხელს აწერენ საზოგადოების თავმჯდომარე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გენერალ-მაიორი კ. ცაგოლოვი და თავმჯდომარის მოადგილე, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სახალხო მხატვარი ზ. აბოევი და, მეორე მხრივ, მოსკოვის ქართველთა სათვისტომოსა და საზოგადოება „ფარნის" ერთობლივი მიმართვა ქართველი და ოსი ხალხებისადმი, რომელსაც ხელს აწერენ სათვისტომოს პალატის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ტრანსპალტოლოგიის და ხელოვნური ორგანოების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი ვ. ჩხეიძე, თავმჯდომარის მოადგილე — აკადემიის მოლეკულარული ბიოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი დ. ბერიტაშვილი, კ. ცაგოლოვი და ზ. აბოევი.

პირველ დოკუმენტს, კ. ცაგოლოვისა და ზ. აბოევის ღია წერილს, რომელიც მათ ჟურნალისტ ა. ჩოჩიევს გაუგზავნეს, მე ქვემოთ გაკვრით შევეხები, არაფერს ვიტყვი ა. ჩოჩიევის წერილზე, რომლის ირგვლივაც ქართულ პრესაში მისივე თანამემამულეების მიერ ბევრი რამ საყურადღებო დაიწერა, მკითხველის ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ მიმართვაზე, მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს ხელმძღვანელთა ხელით რომაა დაწერილი და ვითომდა ქართველ და ოს ხალხს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების მშვიდობიანი გზით მოგვარებას ისახავს მიზნად.

სატახტო ქალაქში მცხოვრებ ასპირანტ ვ. ჩხეიძეს და უფროს მეცნიერ თანამშრომელ დ. ბერიტაშვილს ამთავითვე საჯაროდ მინდა ვაუწყო, რომ სრულიად ამაოდ ირჯებიან, რადგანაც არავითარი უთანხმოება, რომლის ჩასაქრობადაც ისინი ასე მონდომებით ილვწიან, ქართველ და ოს ხალხს შორის არ მომხდარა. ყალბია და ყურით მოთრეული ინფორმაცია, თითქოს „ვითარება სულ უფრო იძაბება", რომ ამ „დაძაბულობას" ეროვნულ ნიადაგზე არა მარტო სუბიექტური, არამედ ობიექტური მიზეზებიც აქვს და სხვ. და ა. შ.

არაფერი მსგავსი არც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე და არც დანარჩენი საქართველოს ახლომახლო რეგიონებში სადაც ოსი მოსახლეობა ცხოვრობს, არ ხდება. არსებობს ერთადერთი ფაქტი: ა. ჩოჩიევმა, რომლის სახელი ქართველმა მკითხველებმა ამ ზაფხულს პირველად გავიგონეთ, გამოაქვეყნა წერილი, რომლის კაცთმოძულე შინაარსმა როგორც ქართველი, ისევე ოსი მკითხველიც ერთნაირად აღაშფოთა. „ლიტერატურულმა საქართველომ" ოსი ეროვნების მოქალაქეთა აღშფოთებისა და გულისწყრომის გამომხატველი ასობით წერილი მიიღო და ადგილის უქონლობის გამო მხოლოდ მისი მცირე ნაწილი დაბეჭდა.

ამ ბოლო დროს მე რამდენჯერმე ვიყავი სამხრეთ ოსეთში, თითქმის ყოველდღე ვხვდები ოსი ეროვნების ადამიანებს, რომელთა შორის არა ერთი და ორი მეგობარი მყავს, ოსია ჩემი უკანასკნელი რომანის „ვენების კვირის" ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი, კოსტა გოიაევი, ცხინვალელი კაცი, ქართველების მხარდამხარ ქართულ ეროვნულ ბატალიონში რომ იბრძოდა ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე 1945 წლის აპრილ-მაისში და თავისი მშობელი ხალხი წარბშეუხრელი გმირობით ასახელა, ვხვდები და ვერ ვპოულობ იმის რაიმე ნიშანს, რომ „ვითარება სულ უფრო იძაბება".

ჩვენი მოსკოველი თანამემამულეები, იქაური ქართული სათვისტომოს მესვეურები, ცდილობენ, თავიანთ „მიმართვაში" ქართველ და ოს ხალხისადმი მიუდგომელი მსაჯულის მანტია წამოისხან და ორივე მხარეს — ქართველებსა და ოსებს, რომელთა შორის, თუ მათ დავუჯერებთ, თურმე დიდი უთანხმოება და მიხტომ-მოხტომა ჩამოვარდნილა, თავ-თავისი კუთვნილი მიუზღან.

რა არის, მათი აზრით, ობიექტური მიზეზი უთანხმოებისა? აი, თურმე რა: „უკანასკნელ ხანს გახშირდა ზოგიერთი ქართველი და ოსი ისტორიკოსის უაზრო, ორივე მხარისათვის გულსატკენი ექსკურსიები (?) წარსულში".

სათვისტომოს პალატის თავმჯდომარე ახალგაზრდა კაცი ბრძანებულა, ჯერ მხოლოდ ასპირანტია, მაგრამ მის ტიტულოვან მოადგილეს, უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ხომ მაინც უნდა მოეხსენებოდეს, რომ ასე ხელაღებით, ყოვლად უსაბუთოდ ლაპარაკი მეცნიერების ამათუ იმ დარგზე ან მის რომელიმე წარმომადგენელზე, მისი ნაშრომნაღვაწის უაზრობად, „ორივე მხარის გულსატკენ ექსკურსიებად" გამოცხადება, მეტი რომ არა ვთქვა, წმინდა წყლის უტაქტობაა და მეცნიერების გზაზე შემდგარ ან მის კარიბჭეში უკვე შესულ არც ერთ კეთილსინდისიერ ადამიანს არ ეკადრება.

რომელი ისტორიკოსის, ქართველის თუ ოსის, უაზრო შრომა წაიკითხეს მათ, ორივე მხარის გულსატკენ „ექსკურსიებს" რომ ახდენს და დღეს განხეთქილების ვაშლად ქცეულა? არც ერთი! მაშ, რა უფლების ძალით იქნევენ ხელებს და აქეთ ქართველ მეცნიერ ისტორიკოსებს სვრიან წუმპეში, იქით კი ოსებს? ესაა ვითომ სათვისტომოს დანიშნულება? ამიტომ მივესალმეთ მის შექმნას? ეს დაიბარეს ილია ჭავჭავაძემ და ივანე ჯავახიშვილმა?

პალატის თავმჯდომარე და მისი მოადგილე მოძღვრავენ ერს: „უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველ დაუფიქრებლად წამოსროლილ სიტყვას შეიძლება ერთმანეთის მიმართ ეჭვიანობისა და უნდობლობის გაღვივება მოჰყვეს" და ის კი ავიწყდებათ, რომ ერისათვის ჭკუის დამრიგებლური სიტყვების საქადაგებლად მარტოოდენ პალატის თავმჯდომარეობა და თავმჯდომარის მოადგილეობა არ კმარა, კიდევ რაღაც სხვა არის საჭირო. კერძოდ, საჭიროა ღრმად ცოდნა იმისა, რის შესახებაც მსჯელობა და ავტორიტეტული მსჯავრის გამოტანა განგიზრახავს!

მიმართვის ავტორები ხატავენ იდეალურ სურათს, თუ საუკუნეთა განმავლობაში რა სიამტკბილობითა და ძმურად ცხოვრობდნენ ერთმანეთის გვერდით ქართველი და ოსი ხალხები. არ გამოვუდგები არსებითი ხასიათის უზუსტობას, რომელსაც ეს ფრაზა შეიცავს, აქცენტს მომდევნო ფრაზაზე გადავიტან: ცხოვრობდნენ და „ქმნიდნენ ბევრად ერთმანეთის მსგავს საერთო ისტორიას".

რა არის ეს, თუ ღმერთი გწამთ? ან ერთს და ან მეორე ხალხს საკუთარ ისტორიასაც აღარ ვუტოვებთ? ეკადრება ასე ბუნდოვნად და უთავბოლოდ მსჯელობა ორ პატივცემულ მეცნიერს, ასპირანტ თავმჯდომარეს და მის მოადგილეს, უფროს მეცნიერ თანამშრომელს?

აი, კიდევ: „ისინი ერთად ებრძოდნენ ძლიერ მტრებს, რომლებსაც ჩვენი დამონება, ქართველი და ოსი ხალხების მრავალი თაობის გარჯით შექმნილ სულიერ ღირებულებათა მოსპობა სწყუროდათ"!.

თავი ნუ მოგიკვდებათ, რა „სულიერ ღირებულებებზეა" აქ ლაპარაკი? იქნებ ვეფხისტყაოსანზე? იქნებ მიქელ მოდრეკილის ჰიმნებზე? იქნებ ხელმწიფის კარის გარიგებასა და ხახულის კარედზე?

არ გადავხედოთ ელემენტარულ ისტორიას, მეოთხე კლასის ბავშვებს რომ ასწავლიან, რომ[illegible] არავისათვის [illegible] არა არის რა, [illegible] ვიკითხოთ, აქვს თუ არა ვინმეს უფლება ასე უთავბოლოდ წერისა? იქნებ მოსკოველ თანამემამულეებს, მი[illegible] [illegible] და [illegible] შეგნე[illegible] [illegible] ანება, შინაურს თუ გარეშეს, დაუსჯელად შეუძლია ზედ გადაიარ-გადმოიაროს?

კიდევ ერთი მარგალიტი:

„მხოლოდ ჩვენი საერთო ძალისხმევით შევძელით შეგვენარჩუნებინა ჩვენ-ჩვენი მიწა-წყლის მთლიანობა".

მაშ, არც მეტი, არც ნაკლები, „ჩვენ-ჩვენი მიწა-წყლის"? ესმით კი „მიმართვის" მეცნიერ ავტორებს, კერძოდ, რომელ „მიწა-წყალზე" ან საერთოდ რაზეა ლაპარაკი? მაშ, რა უფლებით გამობრძანებულან და ათასობით მოსკოველი ქართველის, რომელთა შორის მრავალი უაღრესად საპატივცემო პიროვნებაა, მთელი სათვისტომოს სახელით „ზოგიერთ ქართველ და ოს ისტორიკოსს" უაზრო, „ორივე მხარისათვის გულსატკენი ექსკურსიების" გამო უკიჟინებენ? აი, მათ რომ თავმდაბლობა გამოეჩინათ, კეთილი ენებათ და სათანადო სპეციალურ ლიტერატურაში ცალი თვალით მაინც ჩაეჭვრიტათ, მაშინ მიხვდებოდნენ, რომ „ჩვენ-ჩვენი მიწა-წყალი" და ბევრი სხვა შეუსაბამობაც, რითაც მათ მიერ შედგენილი და ხელისმოწერით დამოწმებული „მიმართვა" სცოდავს, ამ კონკრეტულ კონტექსტში სრულიად არაფერ შუაშია.

მე გულწრფელად ვთხოვ ბატონ პროფესორ კ. ცაგოლოვს და ბატონ სახალხო მხატვარ ზ. აბოევს, ნურცერთ სიტყვას ზემოთ თქმულიდან თავის თავზე ნუ მიიღებენ, ვინაიდან მათ ეს სრულებითაც არ ეხებათ. მათი გულმართალი, პატიოსანი, რაინდული თვალსაზრისი გამოხატულია ღია წერილში ა. ჩოჩიევისადმი, რისთვისაც არ შემიძლია ძმური მადლობა არ მოვახსენო.

რევაზ ჯაფარიძე.

წესი, რიგი და ჩვენ

გულუხვობა... ვის ხარჯზე?

ფართო საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, კარგადაა ცნობილი, თუ როგორი პრინციპულობით ეკიდებიან პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოები რესპუბლიკაში საპასპორტო რეჟიმის განმტკიცების, მიწისა და საბინაო ფონდის სწორად განაწილების, მოსახლეობის მიგრაციის რეგულირებისა და შექმნილი რთული დემოგრაფიული ვითარების მოწესრიგების საკითხებს. არ არის დასამალი, რომ ქართველი კაცის ინტერნაციონალურმა ბუნებამ, ზოგჯერ კი შეგნებულმა წაყრუებამ ჩვენთან დროებით, თუ მუდმივად ჩამოსულ მოქალაქეს ზედმეტი სითამამისა და ცხოვრების ელემენტარული წესების დარღვევის სურვილი აღუძრა, რაც ადგილობრივ მოსახლეობას ძვირად უჯდება.

ერთი შეხედვით, კაცმა რომ თქვას, თითქოს რა უნდა იყოს იმაში ცუდი, რომ სხვა ეროვნების ხალხი ჩაეწერა საქართველოში, მით უფრო დღეს, დემოკრატიზაციისა და საბჭოთა კანონების ჰუმანიზაციის პირობებში? მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ დემოკრატია და ჰუმანიზმი არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს რომელიმე ერისა და მითუმეტეს მკვიდრი მოსახლეობის ინტერესების შელახვას და შევიწროებას.

დღეს საქართველოში ეკოლოგიური პირობების გაუარესებასთან, თითქმის ყოველ წელიწადს სტიქიური მოვლენების სიმრავლესთან დაკავშირებით, მიწის მოვლის, პატრონობის და სარგებლობის პრობლემამ მძაფრი ხასიათი მიიღო.

სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული აჭარის, სვანეთის, მთიულეთის და რაჭის რაიონებიდან გადმოსახლებულ ქართველთათვის მიწის გამოყოფა განა უნდა გვიჭირდეს? ასეთ პირობებში რატომ უფრო იოლად უნდა ახერხებდეს მიწის მიღებას, ჩაწერას და სხვა სოციალური საკითხების მოგვარებას რესპუბლიკის არამკვიდრი, მარიფათიანი კაცი?

ამასთან დაკავშირებით, ალბათ, გადასახედია საპასპორტო რეჟიმის საერთო დებულებაც, რომელიც კავშირის ყველა ქალაქისა და რეგიონისათვის მთლიანად ვერ გამოდგება. ანალიზი ამას წინათ ქვემო ქართლში ქართველი მოსახლეობის მიმართ მომხდარი თავდასხმებისა, რომელთა შემსრულებლები იყვნენ ეროვნებით აზერბაიჯანელი ექსტრემისტები და ხულიგნური ელემენტები, ცხადყოფს, რომ ადგილობრივი მართვის ორგანოების სიფხიზლე საგრძნობლად მოდუნებულია. ბევრ ანტისაზოგადოებრივ მოვლენას, ჩვენდა სამწუხაროდ, სათანადო შეფასება არ ეძლეოდა.

დღეს, გარდაქმნის პროცესში, როცა ფარდა აეხადა ბნელს და უფრო მკვეთრად გამოჩნდა თეთრი და შავი, ჩვენი ზოგიერთი თანამემამულე მაინც ნყვდიადიდან ვერ გამოდის და ვარდისფერი სათვალეებით უყურებს ერის გასაჭირს. ზოგჯერ გიკვირს კიდეც და ვერ გაგირჩევია მათი საქციელი უსუსურობაა თუ მზაკვრული ჩანაფიქრი. ამჯერად ჩვენ ფაქტებს მოგაწვდით ქვემო ქართლის რაიონების მაგალითებზე და დანარჩენი თვით მკითხველმა განსაჯოს.

ქალაქ ბოლნისის განაპირას 1979 წლიდან ჩამოყალიბდა სრულიად ახალი მიკროუბანი „ანდრეევკად" წოდებული, რომლის მობინადრენი 183 ოჯახს შეადგენენ და რომელთაც გამოეყოთ საუცხოო მიწის ნაკვეთები. ასეთი მოწყალება წილად ერგოთ 43 ქართველ, 106 აზერბაიჯანელ და 34 სხვა ეროვნების ოჯახს. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მხოლოდ უსახლკაროებს და გაჭირვებულთ როდი მიეცათ „ანდრეევკაში" დასახლების უფლება. ვებერთელა სასახლე წამოჭიმა ვინმე ახმედოვმა თემური ფეზალ ოღლიმ, ბოსტნეულის მაღაზიის ყოფილმა გამგემ, რომლის მამას ქალაქ ბოლნისში ორსართულიანი სახლი აქვს, ხოლო ქვემო ბოლნისში — მამაპაპური ბინები თავისი ბაღ-ბოსტნებით.

ბოლნისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1986 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით მეუღლესთან განქორწინების შემდეგ, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების საპასპორტო სამსახურმა ბოლნისში რუსთაველის ქ. № 23-ში, მშობლების სახელზე რიცხულ 32 კვადრატული მეტრი ფართობის კომუნალურ ბინაში შვილთან ერთად ჩაეწერა მოქალაქე აგეევა ლამარა ჯუმშუდ ყზი, რომელიც ქ. ბაქოში 5 წელი ცხოვრობდა მეუღლესთან. ასეთ ვითარებაში მას სასამართლოს წესით მეუღლის საცხოვრებელი ფართიდან უნდა მოეთხოვა წილი და არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა მისი ბოლნისში ჩაწერა. მით უფრო, რომ მშობლების ბინაში მანამდე ჩაწერილი იყო 4 სული და არ იყო საკმარისი სანიტარული ნორმა.

ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთის მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის საერთო საცხოვრებელში, საპასპორტო აპარატის უფროსის გ. საკაძის მიერ 1986 წლის 3 დეკემბერს მუდმივი ჩაწერა გაუფორმდა აზერბაიჯანის სსრ ქ. სუმგაითიდან ჩამოსულ მოქალაქე პაშა მახმუდ ოღლი კასუმოვს, მაშინ როდესაც არც სათანადო ორდერი არსებობდა და არც წარმოება-დაწესებულების შუამდგომლობა.

ასევე გ. საკაძის მიერ 1986 წლის 6 მაისს დაბა კაზრეთში 31,9 მეტრი ფართობის ბინაში, სადაც ჩაწერილი იყო მხოლოდ ბინის ძირითადი დამქირავებელი, ჩაწერეს ამურის ოლქიდან ჩამოსული მოქალაქე ზოია სიმონის ასული კალინკინა. საგულისხმოა, რომ აქ არ არის წარმოების შუამდგომლობა, ხოლო ბინის დამქირავებელს მიცემული აქვს თანხმობა ზ. კალინკინას მხოლოდ დროებით და არა მუდმივ ჩაწერაზე, როგორც ეს სინამდვილეშია გაკეთებული. ბუნებრივია, კაცს დაებადება ეჭვი, ხომ არ არის აქ განზრახვა ბინის დაუფლებისა?

მიწის ნაკვეთების უკანონო მითვისების როგორნაირ ფორმას არ შეხვდებით. ბოლნისელმა მოქალაქემ შუშანა გაბიძაშვილმა თავისი ორსართულიანი დაუმთავრებელი სახლი მიჰყიდა დმანისის რაიონის სოფელ ირგანჩაიში ჩაწერილ პირს ისად ალი ოღლი იოლჩიევს. ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმებულია 1987 წლის 19 მარტს ბოლნისის მეორე სანოტარო კანტორაში ნოტარიუს მნაცაკანიანის მიერ. მოქალაქე იოლჩიევის ხუთსულიანი ოჯახის ჩაწერა გაფორმებულია 1987 წლის 14 ნოემბერს. მოქალაქე ვ. ხაჩატუროვმა, რომელიც ბოლნისში კომუნალურ სახლში ცხოვრობს, 1983 წელს რაიაღმასკომის გადაწყვეტილებით მიიღო მიწის ფართობი და დაიწყო იქ ბინის მშენებლობა, მაგრამ მხოლოდ პირველი სართული ააშენა და შემდეგ იგი მიჰყიდა მარდან ალიევს, ბოლნისში ჩაუწერელ პიროვნებას. ამჟამად ეს სახლი ალიევზე გაფორმებული არაა, ის ახლაც არ არის ბოლნისში ჩაწერილი, აღნიშნულ ბინაში კი ცხოვრობს.

მადნეულის კომბინატის დირექციის შუამდგომლობით კრასნოდარის მხარის ქ. ეისკიდან ჩამოსული ლუბა თედორეს ასული პონომარენკო 1986 წლის 28 ნოემბერს მუდმივად ჩაწერილია კომბინატის საერთო საცხოვრებელში ორდერის გარეშე. შემოწმებით გამოირკვა, რომ იგი წინა საცხოვრებელი ადგილიდან ამოწერილი არ ყოფილა.

მსგავსი ფაქტების მოყვანა, როცა საპასპორტო სამსახურები სცოდავენ, სამწუხაროდ, კიდევ შეიძლება, მაგრამ ახლა მივაქციოთ ყურადღება ერთ მეტად დამაფიქრებელ გარემოებას. საკმარისია გაჩნდეს რესპუბლიკაში ახალი სამრეწველო ობიექტი, რომ აქ, როგორც წესი, ჩნდება ახალმშენებლობებზე და მრავლდება მოქალაქეთა ჩაწერებისა და ბინების უკანონოდ განაწილების ფაქტები, საბოლოო ჯამში კი არა ადგილობრივი ეროვნების მოსახლეობის მოზღვავება.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ საკმარისია ასეთი სტატისტიკაც: 1977 წლიდან 1989 წლამდე კაზრეთის მადნეულის კომბინატმა ააშენა და ბინები გასცა 2074 ოჯახზე, რომელთა შორის ქართველია — 719, რუსი — 291, სომეხი — 223, ბერძენი — 328, ოსი — 30, აზერბაიჯანელი — 417, სხვა ეროვნების — 66. ე. ი. 2074 ბინიდან ქართველებს მიეცათ — 719, ხოლო არაქართველებს — 1355 ბინა. სამწუხაროდ, კომბინატში კვლავ გრძელდება სხვა რესპუბლიკებიდან მუშახელის მიღება, როცა ამ პრობლემის გადაწყვეტა შეიძლებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე. არა ერთი შემთხვევაა იმისა, როდესაც სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოები, მათი აღმასკომები, საწარმოო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები შეგნებულად უწყობენ ხელს მოქალაქეთა ჩაწერასა და ბინების უკანონოდ მიღებასაც კი. მით უფრო, რომ აღმასკომები, სადაბო და სასოფლო საბჭოები, უმეტეს შემთხვევაში, თვითონ განაგებენ მოქალაქეთა ჩაწერა-ამოწერას.

ბოლნისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ 1988 წლის 30 სექტემბერს მოქალაქე ფანურა ხოჯა ყზი ჰუსეინოვას დაუკანონდა ბოლნისის რკინიგზის სადგურის ბარაკული ტიპის ბინა. როგორც გამოირკვა, ფ. ჰუსეინოვა 1979 წელს ჩაწერილი იყო ბოლნისის რაიონის სოფელ სარალარში მშობლების პირადი საკუთრების სახლში. 1986 წლის 20 დეკემბერს იგი ქორწინებაში გატარდა მოქალაქე იაგუბ იმდად ოღლი ორუჯოვთან, რომელიც ამჟამად ბაქოში ცხოვრობს. 1985 წელს კი ფ. ჰუსეინოვამ ორი მცირეწლოვანი შვილით თვითნებურად დაიკავა რკინიგზის სადგურთან არსებული აღნიშნული ბარაკული ტიპის ბინა, რომელიც შემდეგ დაუკანონა ალმასკომმა.

საკითხავია, მაშინ როდესაც ფ. ჰუსეინოვას ჰყავს მეუღლე, რომელიც ცხოვრობს ქ. ბაქოში, მშობლები რომელთაც აქვთ საკუთარი სახლი, რატომ გამოიჩინა ალმასკომმა ასეთი „გულჩვილობა", რის საფუძველზე გამოუყო მას ბინა?

კაზრეთის სადაბო საბჭოს მიერ 1986 წლის 3 იანვარს გაცემული ორდერის საფუძველზე დაბა კაზრეთში სამოთახიან ბინაში ჩაეწერა შაქი გაგიბ ოღლის 4-სულიანი ოჯახი. ეს მაშინ, როდესაც იგი ამ პერიოდისათვის ჩაწერილი იყო დმანისის რაიონში და აქედან ამოეწერა 1987 წლის 23 თებერვალს, ანუ ბინის ორდერის მიღებიდან ერთი წლისა და 31 დღის შემდეგ.

ქ. ქუთაისში მცხოვრებ ალი ისმაილ ოღლი ისაევის 3 სულისაგან შემდგარ ოჯახს 1982 წლის 23 ივნისს კაზრეთის სადაბო საბჭომ მისცა საბინაო ორდერი დაბა კაზრეთში 3 ოთახიან ბინაში შესასახლებლად.

ეს უკანასკნელი ქუთაისიდან ამოეწერა 1986 წლის 14 ნოემბერს, ე. ი. მას კაზრეთში ბინის მისაღები ორდერი ისე მიეცა, რომ ქუთაისიდან ამოწერილი არ იყო.

ამავე სადაბო საბჭოს მიერ გაცემული ორდერის საფუძველზე 6-სულიანი ოჯახით 1987 წლის 24 თებერვალს დაბა კაზრეთში ჩაეწერა ალი ახმედ ოღლი ნაბიევი. ჩაწერის მასალებიდან არ ჩანს, თუ სად იყო იგი მანამდე ჩაწერილი. პასპორტი მას მიღებული აქვს ქ. ბაქოში, მაგრამ როდის, იგი სათანადო დოკუმენტებიდან არ ჩანს..

ზემოაღნიშნული და სამწუხაროდ, სხვა მრავალი მსგავსი ფაქტი აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ სავსებით უგულებელყოფილია კანონის ელემენტარული მოთხოვნები. არა თუ კაზრეთისა და ბოლნისის ალმასკომებმა, არამედ დღეს რიგითმა მოქალაქეებმაც კი იციან, რომ საბინაო აღრიცხვაზე აუყვანელ და მით უფრო ჩაუწერელ მოქალაქეებზე კომუნალური და საუწყებო ბინები არ გაიცემა. ხელმძღვანელი მუშაკებისათვის იმის შეხსენებაც ზედმეტია, რომ ყველა ქალაქში დაწესებულია მოქალაქეთა ჩაწერის ხანგრძლიობის ზღვრული ნორმა იმის თაობაზე, თუ როდის ეძლევათ მათ საბინაო აღრიცხვაზე აყვანის უფლება. მაგრამ იძულებული ვართ ასეთ უცოდინარებს (თუ კი ეს არცოდნითაა გამოწვეული) შევახსენოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს 1985 წლის 2 სექტემბრის დადგენილება, რომ ქ. თბილისში საბინაო რიგში აყვანისათვის აუცილებელია არა ნაკლებ 7 წლის ჩაწერის სტაჟი, ხოლო ბოლნისში, ისევე როგორც რესპუბლიკის სხვა უმეტეს ქალაქსა და რაიონში, არა ნაკლებ 3 წლისა.

უკანასკნელ ხანებში ბევრი დაიწერა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში საკარმიდამო ნაკვეთების უსაფუძვლოდ გამოყოფის მავნე პრაქტიკის თაობაზე. მიმდინარე წელს მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 600-ზე მეტი უკანონოდ მიტაცებული ნაკვეთი იქნა გამოვლენილი. გულგრილად ვერ წაიკითხავდა კაცი პოეტ მედეა კახიძის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებულ წერილს ყვარლის რაიონში ქართული მიწების განუკითხავად დანაწილების შესახებ. სამწუხაროდ ყვარელი გამონაკლისი როდია.

იგივეა ბოლნისის რაიონშიც. დღეს ყველამ იცის ზემოხსენებული „ანდრეევკად" წოდებული დასახლების შესახებ. ამ უბნის ტერიტორიაზე მიწების გამოყოფაში თურმე გულუხვობა გამოიჩინეს ბოლნისის საქალაქო საბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარემ ზაურ ნაქაძემ, ნაწილობრივ კი მისმა მემკვიდრეებმა ტაბუცაშვილმა და მგელაძემ. დასახლებას პირობითი სახელი „ანდრეევკა" დაერქვა ბოლნისში გავრცელებული საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, მაგრამ ეს არ არის შემთხვევითი. მას ხალხმა ეს სახელწოდება ზ. ნაქაძის მამის ანდრიას სახელის „უკვდავსაყოფად" შეარქვა. ყველაფერი აქ გასაგებია, მაგრამ მაინც რატომ აქამდე სერიოზულად არავინ დაინტერესებულა „ანდრეევკას" ბიოგრაფიით?

„ხელგაშლილობა" არა ნაკლებ შთამბეჭდავია გარდაბნის რაიონშიც. სოფელ ახალი სამგორის სასოფლო საბჭომ (ყოფილი თავმჯდომარე მ. აფციაური) ქართველთა მიერ გაყიდულ ბინებში ჩაწერა სომხეთის სსრ ამასიის რაიონიდან ჩამოსული ქურთი ეროვნების 5 ოჯახი, რომელთა რაოდენობამ 66 კაცს მიაღწია. სამწუხაროდ, კვლავ არის სიგნალები ამავე რაიონში ასევე სომხეთიდან ქურთი ეროვნების წარმომადგენელთა ჩამოსახლების შესახებ, რომელსაც ამჟამად სწავლობს სამინისტროს შესაბამისი სამსახურები.

მიუხედავად იმისა, რომ გარდაბნის რაიონის ხელმძღვანელებს სათანადო შეტყობინებები ჩვენს მიერ ადრეც ჰქონდათ გაგზავნილი აქ მიწის კანონმდებლობის დარღვევებისა და უკანონო ჩაწერების შესახებ, ამ საკითხებს პრინციპული შეფასება არ მისცემია. მით უფრო, რომ მიწის კანონმდებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესების დაცვის რესპუბლიკურმა კომისიამ მსგავს დარღვევებზე რაიონის ხელმძღვანელობას მკაცრად მიუთითა.

ბოლნისელ კოლეგებს არც ქარელის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ლ. მაზმიშვილი ჩამორჩა. მან გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას და სათანადო რეზოლუციით პირდაპირ დაავალა რაიონის საპასპორტო სამსახურის უფროსს გ. გაბრაშვილს ქარელში ჩაეწერა აზერბაიჯანელი ეროვნების 4 ოჯახი. ამ უკანასკნელმაც უყოყმანოდ შეასრულა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მითითება.

საპასპორტო სისტემის წესების უგულებელყოფის „რეკორდი" მაინც მარნეულის რაიონის სოფელ შულავერის სასოფლო საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარეს ვ. რზაევს ეკუთვნის. მან მატყლის გადამუშავების ფაბრიკის მესვეურებთან ერთად სხვა რესპუბლიკიდან ჩამოსული ათეულობით პირი ჩაწერა შულავერში. დღეს ხანდაზმულობის გამო ძნელია გაარკვიო ყველა მათგანის ჩამოსვლის საფუძვლები, მაგრამ რზაევისა და მისთანების წყალობით 1959 წლიდან დღემდე შულავერის მატყლის გადამამუშავებელ ფაბრიკაში 186 კაცი იქნა ჩაუწერავად მიღებული, რომლებიც შემდეგ დამკვიდრდნენ საქართველოში. ასეთი ქმედება საქმის უცოდინარობით არაა გამოწვეული, ეს მზაკვრობაა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ 1988 წელს სპეციალურად იმსჯელა მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში საპასპორტო რეჟიმის უგულებელყოფის ფაქტებზე. მაშინ სამსახურიდან მოიხსნენ და ორგანოებიდან დაითხოვეს მარნეულის რაიგანყოფილების უფროსი ა. ჯაფაროვი და საპასპორტო ქვეგანყოფილების უფროსი ზ. გურგენიშვილი, დაისაჯნენ აგრეთვე სხვა რანგის მილიციის თანამშრომლები და ადგილობრივი საბჭოების თავმჯდომარეები. მაგრამ, როგორც მიმდინარე წლის შემოწმებებმა გვიჩვენეს, ყველას ვისაც ეხება ამ პრობლემის მოგვარების საკითხი სათანადო დასკვნები არ გაუკეთებია. სამწუხაროდ, გამოვლინდა საპასპორტო რეჟიმის უფრო უხეში დარღვევები.

დაბა კაზრეთში, ქალაქ ბოლნისში და მარნეულის რაიონში აღრიცხულია არა ერთი უხეში დარღვევა მოქალაქეთა ჩაწერა-ამოწერის საქმეში, რაც ხელს უწყობდა ბინების უკანონოდ გაცემასაც.

შემოწმების მასალები გადაეცათ სათანადო პარტიის რაიონულ კომიტეტებს ზომების მისაღებად. ვიმედოვნებთ, რომ მკაცრი დასკვნები გაკეთდება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთის საპასპორტო სამსახურის უფროსი გ. საკაძე მოხსნა დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო ბოლნისის საპასპორტო ქვეგანყოფილების უფროსს რ. ბერძენაძეს გამოუცხადა სამსახურებრივი შეუფერებლობა და გააფრთხილა, რომ დარღვევათა გამეორების შემთხვევაში დათხოვილი იქნება მილიციის ორგანოებიდან.

სამწუხაროდ, შესაბამის რაიონულ ალმასკომებს ბრალეულ პირთა მიმართ შესაფერისი რეაგირება არ მოუხდენიათ. ალბათ, ამით იყო გამოწვეული, რომ სამინისტროს მიერ გაუქმებული უკანონო ჩაწერა შულავერის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. რზაევმა კვლავ აღუდგინა სომხეთიდან ჩამოსულ ქამალ ოღლი ასკეროვს, ხოლო რაც შეეხება სოფელ ახალი სამგორის სასოფლო საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარეს მ. აფციაურს, იგი გარდაბნის რაიალმასკომის ცენტრალურ აპარატში მუშაობს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო უახლოეს დღეებში იმსჯელებს ქარელის რაიგანყოფილების საპასპორტო სამსახურისა და სხვა თანამშრომელთა მიმართ, რომლებმაც დაუშვეს მსგავსი დარღვევები.

იმის გათვალისწინებით, რომ ბოლნისის რაიონში უკანონო ჩაწერებს ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეულად შეუწყო ხელი სანოტარო სამსახურების უპრინციპო მუშაობამ, იუსტიციის სამინისტრო ინფორმირებულია და უკვე შეუდგა მათი საქმიანობის შესწავლას.

ჩვენ განსაკუთრებით პრინციპულობასა და მკაცრ რეაგირებას მოველით დასახელებული და სხვა რაიონების ხელმძღვანელებისაგან, სადაც ასეთი უმსგავსო ფაქტები გვხვდება.

უახლოეს ხანში რესპუბლიკის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს მინისტრთა საბჭოს მოხსენდება საკითხი რესპუბლიკაში საპასპორტო სისტემის წესების მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობის თაობაზე.

ჩემი ღრმა რწმენით ზემოხსენებული დარღვევები, განსაკუთრებით მიწათსარგებლობის სფეროში, არ აღიკვეთება მანამ, სანამ ყველა ის თანამდებობის პირი, რომელმაც ერის წინაშე ჩაიდინა დანაშაული, არ აგებს პასუხს სისხლის სამართლის კანონმდებლობის წინაშე, იმის მიუხედავად, თუ დღეს მას რა თანამდებობა უკავია. არც ის უნდა დავივიწყოთ, ვისაც „დამსახურებული" დასვენებისათვის მიუღწევია, მაგრამ ადრე სერიოზულად ცოდავდა.

ვარლამ შადური,
საქართველოს სსრ შინაგან
საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.

უცხოეთში

საქდესი იუწყება
19 აგვისტო

● **აშშ**

მილიტარისტთა ახალი ნაბიჯები კოსმოსში

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებმა კანავერალის კონცხზე განლაგებული კოსმოდრომიდან გაუშვეს უპილოტო კოსმოსური რაკეტა „დელტა-2", რომელმაც ორბიტაზე გაიტანა სამხედრო თანამგზავრი „ნავსტარი".

ამ სერიის ორი თანამგზავრი უკვე მოქმედებს მიმდინარე წლის დასაწყისიდან. პენტაგონი გეგმავს კიდევ 18 ასეთი თანამგზავრის გაშვებას, რომელთა დახმარებითაც შესძლებს პლანეტის ნებისმიერ წერტილში განლაგებული ამერიკის ან ნატოს სამხედრო ბაზებიდან რადიოსიგნალების მიღებას. თანამგზავრები დაეხმარებიან ნატოს წყალქვეშა ნავებს, ტანკებს და თვითმფრინავებს, განსაზღვრონ თავიანთი ადგილმდებარეობა რამდენიმე მეტრის სიახლოვით. თითოეული თანამგზავრი პენტაგონს 65 მილიონი დოლარი უჯდება.

⊙ **ავსტრია**

ნეიტრალიტეტი საფრთხეშია

ვენა. ავსტრიის კომპარტია ილაშქრებს ქვეყნის „საერთო ბაზარში" შესვლის წინააღმდეგ. მას მიაჩნია, რომ ეს ნაბიჯი შეუთავსებელია ავსტრიის რესპუბლიკის ნეიტრალიტეტის პოლიტიკასთან, განაცხადა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ავსტრიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ფრანც მურიმ.

დიდ შეშფოთებას იწვევს, აღნიშნა მან, გარკვეული ძალების მისწრაფება უარი თქვან ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან ხელშეკრულებაში ნეიტრალიტეტის შესახებ დებულების დამკვიდრებაზე. გაერთიანების განვითარება პოლიტიკური კავშირის მიმართულებით, რომელიც გულისხმობს საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის საკითხებში ერთიანი კურსის განხორციელებას, მოასწავებს ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაკარგვას, იგი საფუძველს გამოაცლის ავსტრიის რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს — მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსს.

თანამედროვე ეტაპზე ავსტრიელ კომუნისტთა მთავარი პოლიტიკური ამოცანა ის არის, აღნიშნა ავსტრიის კომპარტიის თავმჯდომარემ, რომ შეაკავშიროს ქვეყნის ნეიტრალიტეტის შენარჩუნებისათვის მებრძოლი მთელი ძალები. საზოგადოების ყველა ფენაში, პოლიტიკურ პარტიებში, პროფკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ძლიერდება გაერთიანებისადმი ავსტრიის „შეერთების" გეგმების წინააღმდეგ ბრძოლა. ამის ალტერნატიული ნაბიჯი შეიძლება გახდეს „საერთო ბაზართან" ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ფარგლებში თანამშრომლობის გაფართოება, ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან ორმხრივი და ასოციაციური შეთანხმებების დადება, განმარტა ფრანც მურიმ.

ფოტოინფორმაცია

რამდენიმე ათეული „ჭკვიანი" რობოტი შეუსვენებლად ასუფთავებს კოსმოდრომისათვის მოედანს, გაჰყავს ელექტროგადამცემი ხაზები, ქმნის ჰაერითა და წყლით მომარაგების სისტემას, შემდეგ კი იწყებს საცხოვრებელი სახლის მშენებლობას — სწორედ ასე წარმოუდგენიათ მთვარეზე პირველი მუდმივი ბაზის მშენებლობა იაპონიის კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულ სამმართველოში (ნასდა), რომლის სპეციალისტები შეუდგნენ ასეთი პროექტის დამუშავებას.

სურათზე: ასე გამოიყურება ერთ-ერთი რობოტი, რომელიც ნასდას ცენტრში შექმნეს კოსმოსში, მთვარეზე სამუშაოდ.

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

ვულოცავთ!

ხარობს გენი ბებიისა

ცენტრალურმა პრესამ სასიხარულო ამბავი გვაუწყა: საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ერთად სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა სახელგანთქმულ ქართველ პიანისტს, მრავალი საერთაშორისო კონკურსის, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ელისო ვირსალაძეს.

ამ ფოტოსურათს რედაქციის არქივში წავაწყდით. მასზე ასახულია ვირსალაძეთა სანაქებო გვარის წარმომადგენლები — ბებია და შვილიშვილი — ერთი, ქართველ მუსიკოს შემსრულებელთა მრავალი თაობის პედაგოგი და აღმზრდელი, მეორე, უზადო ნიჭისა და დიდი შესაძლებლობების მქონე პიანისტი.

ყოველი ახალი წარმატების, აღიარების შემდეგ, ელისო ვირსალაძე, ჩვეულებისამებრ, ჟურნალისტებთან იმით იწყებს საუბარს, რომ ყველა სახელდიდებას, სიგელს თუ პრემიას უმადლის თავის ბებიას — ანასტასია ვირსალაძეს, რომელიც, სამწუხაროდ, უკვე ცოცხალთა შორის აღარ არის. რაღა თქმა უნდა, უპირველესად, სწორედ ბებია მიულოცავდა დღეს თავის სახელოვან შვილიშვილს ახალ აღიარებას — სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭებას.

— ბებიასთან ერთად, აუცილებელია, გავიხსენო ჩემი პედაგოგები მოსკოვის კონსერვატორიასა და ასპირანტურაში — პროფესორები ნეიჰაუზი და ზაკი... სხვათაშორის, ნეიჰაუზი — ეს უზარმაზარი მუსიკოსი — არ იყო საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, წარმოიდგინეთ, ზარა დოლუხანოვაც არ იყო... თუმცა მათ ამით არაფერი დაკლებიათ, მე ორი წლის წინათ წარმადგინა ამ წოდებაზე მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიამ, რომლის სოლისტიც ვარ დღესდღეობით და, დამიჯერეთ, უკვე თითქოს, დამავიწყდა კიდეც... მახარობელი თქვენა ხართ და მადლობის მეტი, რა მეთქმის... ისე, რა თქმა უნდა, მაინც სასიამოვნოა, თანაც თუ ასაკში არა ხარ და კიდევ შეგიძლია რაიმე გააკეთო...

— გამოდის რომ, თქვენთვის სწორედ დროზე მოუციათ...

— (ელიმება, ცერად აჭრილი თვალები უბრწყინდება) კომპლიმენტისთვისაც გმადლობთ...

— ცოტა გამიკვირდა, ამ დროს წყნეთში თქვენი ყოფნა...

— არა, ამ დროს ვისვენებ ხოლმე, სულ მალე კი — სექტემბრის დასაწყისში, მოგეხსენებათ, თელავის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ქება ვაზისა" დაიწყება, ცხადია იქ უნდა ვიყო...

— ფესტივალის პროგრამაში სიახლე ხომ არ არის?..

— ჯერჯერობით არა. მთავარია მონაწილეთაგან არავინ დააკლდეს, ხომ იცით, ვიღაცა ვერ ჩამოდის, ვიღაცა ავად ხდება და, ამის გამო პროგრამის შეცვლა გვიწევს...

— თუ არ ვცდები, ამ გაზაფხულზე ხანგრძლივი გასტროლები გქონდათ საზღვარგარეთ...

— დიახ... მოვიარე ინგლისი, იტალია, ესპანეთი, ჩეხოსლოვაკია... ინგლისში სწორედ აპრილის იმ ტრაგიკულ დღეებში გახლდით, აბა, წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როდესაც თანაკლასელის — მზია ჯინჭარაძის დაკრძალვა ანახეს ინგლისის ტელევიზიით, თანაც რამდენჯერმე ანახეს...

— ქალბატონო ელისო, როგორ აფასებთ ქართველ პიანისტთა დღევანდელ დონეს?

— ჩემთვის სასიხარულოა, რომ ბევრი ნიჭიერი შემსრულებელი გამოჩნდა. თუმცა, საქართველოს არასდროს აკლდა ისინი, მაგრამ დღეს განსაკუთრებით...

— ჩემი აზრით, დღეს თითქმის თანაბარი დონეა...

— შეიძლება... ეგ, სხვათაშორის, მსოფლიო მასშტაბით იგრძნობა, ამან, ერთგვარად, მსმენელიც დააკლო საკონცერტო დარბაზებს. რას ვიზამთ, ამაში მაინც, მგონი, დრო არის „მთავარი დამნაშავე", ჩვენთან ხომ ბევრი რამ აკრძალული იყო, ჰოდა, ახლა როკ-მუსიკას, რა თქმა უნდა, უნახავებივით დავხარბდით... კლასიკა მაინც კლასიკაა და ჩვენი ვალია მისი შეუდარებელი ხიბლის დაუღალავი პროპაგანდა...

— კიდევ ერთხელ მოგილოცავთ დიდ აღიარებას, ამჯერად, ასე დავამთავროთ...

— გმადლობთ...

ესაუბრა
ვილენ მარდალეიშვილი.

წიგნის თარო

„ვეფხისტყაოსნის" ახალი პოეტური თარგმანი

Chota Roustaveli
Le Chevalier
à la peau de panthère

თბილისის უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის კათედრის გამგე, მეცნიერი, მწერალი და მთარგმნელი, პროფესორი გასტონ ბუაჩიძე დიდი ხანია ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევა, იკვლევს ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის დიდმნიშვნელოვან საკითხებს ძველი დროიდან დღემდე, ქართულ, რუსულ და უცხოეთის პრესაში სისტემატურად აქვეყნებს სტატიებს, ნარკვევებს, რეცენზიებს.

მეტად ნაყოფიერია მისი მოღვაწეობა აგრეთვე თარგმნითი ხელოვნების დარგშიც, მან თარგმნა და გამოაქვეყნა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა", ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინა", „კონკიას ძმა", (ქართული ხალხური ზღაპრები), გალაკტიონ ტაბიძისა და სხვათა ლექსები.

გ. ბუაჩიძემ სამოციან წლებში ხელი მოჰკიდა დიდ საქმეს — დაიწყო „ვეფხისტყაოსნის" თარგმნა ფრანგულ ენაზე, ცალკეულ ნაწყვეტებს აქვეყნებდა საზღვარგარეთის პრესაში და მისი თარგმანი ყოველთვის იმსახურებდა მეცნიერთა და მწერალთა მოწონებას. იგი წლების განმავლობაში აზუსტებდა და სრულყოფდა თარგმანს და აი, ნაყოფიც, ამ დღეებში თბილისში მიღებულია გასტონ ბუაჩიძისეული „ვეფხისტყაოსნის" ფრანგული პოეტური თარგმანი, რომელიც ერთობლივად გამოსცა პარიზის „პუბლიკასიონ დე ფრანსმა" და მოსკოვურმა „რადუგამ" სათაურით: „ლე შევალიე ალა პო პანთერ" — „რაინდი პანთერას ტყავში", წინასიტყვაობა და კომენტარები გასტონ ბუაჩიძისა, ილუსტრაციები რუსუდან ფეტვიაშვილისა, ფრანგული თარგმანის რედაქტორები: ფილიპ დიუმენი და ბერნარ უტიე.

ფრანგული თარგმანი ემყარება 1974 წლის „ნაკადულის" გამოცემას, რომელშიც წარმოდგენილია დიდი პოეტის 1587 სტროფი.

წიგნი დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე, გაფორმებულია შესანიშნავად, ჩასმულია სუპერში. სუპერზევეა დაბეჭდილი მოკლე მონაცემები რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ. აქ ნათქვამია: „ვეფხისტყაოსანი" ქართული ლიტერატურის შედევრია, ერთადერთი თხზულებაა პოეტის, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. მისი გავლენა დიდი იყო ქართულ ლიტერატურაზე.

ვარაუდობენ, რომ პოეტი წარმოშობით სოფელ რუსთავიდან ყოფილა, რომელიც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს, მესხეთის პროვინციაში. ლეგენდის მიხედვით, რუსთაველი თავის პოემაში თამარ მეფეს უმღერის, იგი ულამაზესი და ცივილიზებული ქალი ყოფილა.

პოეტს თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები სამშობლოდან შორს გაუტარებია, იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში, სადაც გარდაცვლილა და იქვე დაუსაფლავებიათ. მონასტრის ერთ-ერთ კედელზე მოხატულია ღრმად მოხუცებული პოეტის სახე".

„მთარგმნელი „ვეფხისტყაოსნის" მისეულ თარგმანს უძღვნის დედას, საქართველოსა და საფრანგეთს", წერია მარჯვნივ. აქვეა მონაცემები რუსუდან ფეტვიაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე და აღნიშნულია, რომ მის მიერ შექმნილი ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები საერთო მოწონებას იმსახურებს, რომ მხატვარმა გააცოცხლა შუა საუკუნეების რაინდობის პერიპეტიები.

მკითხველის ყურადღებას იპყრობს მთარგმნელის არგუმენტირებული შესავალი სტატია „მზიანი ღამე", რომელშიც განიხილავს რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგიერთ საკითხს. ავტორს მოაქვს მრავალი საინტერესო მასალა იმის თაობაზე, რომ რუსთაველი იყო დიდი ჰუმანისტი; მის მონათესავედ მიიჩნევს დასავლეთ ევროპის ისეთ გამოჩენილ პოეტებს, როგორიც იყვნენ: ბერნარ დე ვენტადური, ბერტრან დე ბორნი, ვოლფრამ ფონ ეშენბახელი და კრეტიენ დე ტრუა. ავტორი მოკლედ გადმოსცემს პოემის შინაარსს, ახასიათებს პოემის გმირებს და გვაძლევს საერთოდ პოემის ლიტერატურულ-კრიტიკულ ანალიზს.

აღსანიშნავია მთარგმნელისავე კომენტარები, რომლებიც უცხოელ მკითხველს განუმარტავს უცნობ სიტყვებს, როგორიცაა: ამირბარი, ამირ-სპასალარი, ქაჯი, მიჯნური, მესხეთი, ხონელი და სხვა.

როგორც ცნობილია, ვეფხისტყაოსნის თარგმნა პოეტურ ენაზე მრავალ სიძნელესთანაა დაკავშირებული. ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი, ვეფხისტყაოსნისა და „ამირან-დარეჯანიანის" ინგლისურ ენაზე მთარგმნელი — პროფესორი რობერტ სტივენსონი ერთ-ერთ თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ ძნელია იმ მაჯამათა თარგმნა, სადაც სიტყვა ორაზროვანია და ჩამოთვლის ბევრ ასეთ სიძნელეს. იგი ბოლოს შენიშნავს: ჯერ არ გამოჩენილა ისეთი მთარგმნელი, „ვეფხისტყაოსნის„ პოეტურ ენაზე თარგმნა რომ შეეძლოს, თავად ამიტომ თარგმნა რიტმული პროზით ინგლისურ ენაზე.

მაგრამ ჩვენ ვიტყოდით, რომ გამოჩნდა მთარგმნელი, გასტონ ბუაჩიძე, რომელმაც სრულყოფილებამდე მიიყვანა პოემის პოეტური თარგმანი.

რა თქმა უნდა, რუსთველოლოგიის წინსვლამ განაპირობა ახალი თარგმანის საჭიროება. მთარგმნელს, უპირველეს ყოვლისა, ზუსტად უთარგმნია პოემის სათაური „რაინდი პანტერას ტყავში", რადგან ვეფხი ევროპული პოეტური ტრადიციებისათვის არ არის დამახასიათებელი და მკითხველში არ იწვევს სათანადო ასოციაციებს.

თარგმანის ორიგინალთან შეჯერებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საქმე გვაქვს პოეტური თარგმანის შესანიშნავ ოსტატთან, რომელიც კარგად ფლობს ორივე ენას, შესანიშნავად იცის რუსთველოლოგიის ახალი წარმატებანი, ქართული და ფრანგული პოეტიკის მნიშვნელოვანი საკითხები, თავად არის პოეტური ნიჭით დაჯილდოებული, აქვს დიდი ენერგია და სწრაფვა დასახული მიზნისაკენ. თარგმანი ზუსტად გადმოსცემს ორიგინალის აზრს, რითმსა და მეტრს, განწყობილებას, ხასიათდება მუსიკალობითა და მელოდიურობით. მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყოველთვის და ყველგან ინარჩუნებს რუსთაველის კატრენებს. სავსებით გამართულად ისმის რუსთაველის ლექსის ჟღერადობა, მთელი მისი მუსიკალური განწყობილება. მეორე, რაც მკითხველის ყურადღებას იპყრობს, ის არის, რომ დაცულია პოეტური სახეები, რუსთაველის პოეზიისათვის დამახასიათებელი.

გასტონ ბუაჩიძე ჭეშმარიტად მთარგმნელობითი ხელოვნების დიდი ოსტატია, მან თარგმანში ჩააქსოვა მეცნიერის დახვეწილი ინტელექტი და პოეტური ბუნების არტისტულობა. მთარგმნელი გვიჩვენებს სხვადასხვა პოეტური ფორმის ფლობის ხელოვნებას. ქართული ლექსის ენამზიანობა დიდად არის დამოკიდებული რითმის ალიტერაციასა და ასონანსების გამოყენებაზე. მათი შემოქმედების ძალა ადვილად არ გადაიტანება სხვა ენაზე შინაარსის დაკარგვის ან დამახინჯების გარეშე.

რაც შეეხება მახვილსა და მეტრს, ფრანგული და ქართული ბუნებრივად ეთანაბრება ერთმანეთს. ისე როგორც ფრანგულ კლასიკურ ალექსანდრიულ ლექსს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ 12 მარცვლიანია, ასევე რუსთაველის 16 მარცვლიან ტაეპს ორად ყოფს ცეზურა ინგლისურისაგან განსხვავებით, სადაც შეიძლება იყოს უმახვილო მარცვლების ცვლებადი რაოდენობა. ჩვენს მთარგმნელს ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ქართული და ფრანგული ლექსთწყობა სილაბურია, ვიდრე ტონური, რადგან პოლისილაბურ სიტყვებში მახვილი უფრო თანაბრად ნაწილდება. ამგვარად, ქართული მეტრი შეიძლება მიუახლოვდეს ფრანგულ მეტრს, რასაც გ. ბუაჩიძე წარმატებით ახორციელებს. გასტონ ბუაჩიძეს მიუგნია და გამოუხატავს რუსთაველის პოეზიის თვით სული.

ფრანგი მეცნიერი ბ. უტიე ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს, რომ სერგი წულაძე და გასტონ ბუაჩიძე 16 მარცვლიანი ლექსის ერთგულნი არიან ბოლომდე. შემდეგ იგი წერს: „ფრანგულისათვის უჩვეულო მარცვალთა ამგვარი სიუხვე გამართლებულია იმით, რომ სხვაგვარად შეუძლებელია შეინარჩუნო მდიდარი რუსთველური რითმა, რომელიც მეტწილად სამ და ოთხ უკანასკნელ ტერფს აერთიანებს... გ. ბუაჩიძემ კი კატრენები გარითმა თანამედროვე ფრანგულ პოეზიაში მიღებულ რითმათა სახესხვაობის გათვალისწინებით და თანაც რა რიგ ვირტუოზულად".

აფორიზმების ორიგინალთან შეჯერებამ დაგვარწმუნა, რომ აქაც გასაოცარი სიზუსტითაა გადმოცემული რუსთაველის ბრძნული აზრები და შეგონებები.

გასტონ ბუაჩიძემ დიდი საქმე გააკეთა, ხელთ გვაქვს სრულყოფილი ფრანგული პოეტური თარგმანი, მისაწვდომი საზღვარგარეთ მოღვაწე მეცნიერებისა და მწერლებისათვის, რომლებიც სწავლობენ დიდი ქართველი პოეტის ცხოვრება-შემოქმედებას, თარგმანი ხელს შეუწყობს ქართულ-ფრანგული კულტურული, მეცნიერული და ლიტერატურული ურთიერთობების შემდგომ განვითარებას.

სერგო თურნავა,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, საფრანგეთის არტურ რემბოს კულტურის ცენტრისა და კანადის საზოგადოების „ეკრიტიურ ფრანსეს დან ლე მონდის" წევრ-კორესპონდენტი.

ო, ენავ ჩემო!..

მხ ახალგაზრდობამ უნდა ითავოს

ამ დღეებში კვლავ მძლავრად აგუგუნდა ქართული დედა-ზარი. — მიღებულია დადგენილება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ.

რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენის სწავლა ყველასთვის ერთნაირად სავალდებულო შეიქნა — ქართველისთვისაც და არაქართველისთვისაც. შემუშავდა ახალი სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები, მეთოდიკური რეკომენდაციები, დიდაქტიკური მასალები. ახალი სასწავლო წლიდან სკოლები მიიღებენ ქართული ენის დამხმარე სახელმძღვანელოებსა და მეთოდიკურ ლიტერატურას, უკეთ აღიჭურვებიან სასწავლო-ტექნიკური მოწყობილობით, თვალსაჩინოებათა საშუალებებით.

ამასთან დაკავშირებით პირველი სასიკეთო ნაბიჯები გადაიდგა თრიალეთისა და ჯავახეთის არაქართულ სკოლებში. წალკის რაიონის ედიქილისის რუსულ საშუალო სკოლაში ჩატარდა ქართული ენის ღია გაკვეთილი. ამ საგნის რამდენიმე მასწავლებელმა დახელოვნების ინსტიტუტში აიმაღლა კვალიფიკაცია. სკოლებში ეწყობა ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტები. პარტიის წალკის რაიკომის ბიურომ იმსჯელა რაიონის სკოლებში ქართული ენის სწავლების მდგომარეობის საკითხებზე და დასახა მისი სრულყოფა-გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებები.

როგორც იტყვიან, ამ საქმეში ყინული უკვე დაიძრა, მაგრამ ქართული ენის სწავლებას წალკის, დმანისის, ბოგდანოვკისა თუ ახალქალაქის არაქართულ სკოლებში კვლავ სერიოზული დაბრკოლებები ეღობება წინ.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა კვლავ და კვლავ ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტ მასწავლებელთა კადრების მწვავე ნაკლებობაა. ამის გამო ეს საგანი ან სულ არ ისწავლება (ოზნის, შიპიაკის, ხანთისა და სხვა სოფლებში), ანდა ქართული ენის სწავლება შეთავსებით აქვთ მინდობილი ბიბლიოთეკარებს, ბუღალტრებს, ტექნიკოსებსა და სხვ.

მაგალითად, წალკის რაიონის 44 სკოლაში 48 მუშაკი ასწავლის ქართულ ენას და მათ შორის მხოლოდ ათსა აქვს სპეციალური უმაღლესი განათლება. რაიონის 23 რუსულ სკოლაში არ ჰყავთ ქართული ენის სპეციალისტი მასწავლებელი, 13 სომხურ სკოლაში სულ ხუთი მასწავლებელია ამ საგნის სპეციალისტი. იმის გამო, რომ არ ჰყავთ ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები, განათლების განყოფილებისა და მისი მეთოდური კაბინეტის 18 მუშაკიდან არც ერთია ქართული ენის ინსპექტორი თუ მეთოდისტი. ასეთ ვითარებაში აქ, აბა, ვინღა განიხილავდა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტსა თუ განათლების სამინისტროს კოლეგიის შარშანდელი სექტემბრის გადაწყვეტილებას ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების თაობაზე?

უარესი მდგომარეობაა თრიალეთისა და ჯავახეთის სხვა რაიონების არაქართულ სკოლებში.

აღარაფერს ვამბობ ამ სკოლების სასწავლო-ნივთიერი ბაზის სიღარიბეზე, სხვა ობიექტური ხასიათის ფაქტორებზე, ასე რომ უშლიან ხელს ქართული ენის სწავლებას. ეს პრობლემა შედარებით ადვილი გადასაწყვეტია და როგორმე მოევლება მას. მთავარზე მთავარი მასწავლებელთა კადრებია, მათი კომპეტენტურობა, შემოქმედებითი უნარი და, უწინარეს ყოვლისა, მამულიშვილური სულისკვეთებაა ის მძლავრი ბერკეტი, რომელმაც ძირეულად უნდა გარდაქმნას სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება, ახალ მოთხოვნათა სრული შესაბამისობით მოეკიდოს ამ საშვილიშვილო, დიდ ეროვნულ საქმეს.

ესეც უნდა ითქვას: წალკის, ბოგდანოვკისა და სხვა რაიონების ხელმძღვანელები დაბეჯითებით ითხოვენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კადრებს. იმის გარანტიასაც იძლევიან, რომ ამ სპეციალისტებს შრომისა და ყოფაცხოვრების ყოველმხრივ ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიან, არ მოაკლებენ მზრუნველობასა და დახმარებას, თუკი თავს გამოიჩენენ კეთილსინდისიერი შრომა-საქმიანობით.

სახალხო განათლების სამინისტრო დიდი ყურადღებით ეპყრობა ამ მოთხოვნებს და შეძლებისდაგვარად აკმაყოფილებს მათ. ამასთან, სულ უფრო აძლიერებს და აუმჯობესებს ორგანიზაციულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას, მეთოდურ სამსახურს განსაკუთრებით რესპუბლიკის სამხრეთი რაიონების სკოლებისადმი.

მაგრამ ამ რაიონებში ქართული ენის სპეციალისტ მასწავლებელთა კადრების ისეთი დიდი დეფიციტია, რომ მარტო სამინისტროს ამ პრობლემის მთლიანად გადაჭრა გაუჭირდება. აქ თავისანთი გაბედული სიტყვა უნდა თქვან ჩვენმა ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა, არაფორმალურმა თუ ფორმალურმა გაერთიანებებმა, ახალგაზრდა პედაგოგთა ასოციაციამ. საქართველოს სამხრეთი რაიონების სკოლებს ყველაზე მეტად ახლა სჭირდებათ ქართული ენისა და ლიტერატურის ახალგაზრდა მასწავლებლები, მათი ცოდნა, ენერგია და შემართება.

გიორგი ალავერდაშვილი.

ყაყაჩოები.

ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

ადამიანი და ბუნება

ზღვა თუ... ფიჭვი?

ბიჭვინთა. ზღვის წყნარ უბეში მოლივლივე ტალღები. აფხაზეთის კავკასიონიდან მობერილ მთის ნიავს შერევია ზღვისპირა ფიჭვის თავისებური სურნელება. ნეტარი სიმშვიდე და იდილია, ასე რომ იზიდავს ათასობით საბჭოთა თუ უცხოელ დამსვენებელს. მაგრამ გამოერევა დღეები, როცა ზღვის მშვიდი სარკე აბობოქრდება. წყლის სტიქია ზათქითა და ხმაურით აწყდება სანაპიროს. ფესვებს გლეჯს ლამაზად ჩამწკრივებულ ხეთა კოლონადებს, ხეებს არც ქარიშხალი აკლებს მსახვრალ ხელს. წელში ღუნავს და აკვნესებს ასწლოვან ფიჭვებს. ბობოქრობს სტიქია. თავს იცავს ზღვისპირა უნიკალური ტყე. ვინ — ვის? ტყე თუ ზღვის სტიქიონი! საუკუნეები, ათასობით წლები გრძელდება ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ეს შეუპოვარი ორთაბრძოლა.

...იმ დღეს ლაბადებში გამოწყობილ გაოგნებულ დამსვენებელთა თვალწინ კიდევ ერთი მორიგი შეტევა მოიგერია ბიჭვინთის რელიქტურმა ფიჭვნარმა. იბობოქრა, იბობოქრა, მაგრამ ბოლოს მაინც დაცხრა სტიქია. იდგა ნაომარი ტყე. გამარჯვება არც ახლა დაუჯდა იაფად. დალეწილი ტოტები, ხალიჩად დაფენილი წიწვი, ბურთებივით დაგორებული გირჩები...

ყველაფერი ეს ტყის იარებია. კიდევ უფრო თვალსაჩინოა ზიანი ზედ სანაპირო ზოლთან. ფესვებიანად ამობრუნებულ ოცდაათმეტრიან ხეებს ნაზად ულოკავს ქერქს ზღვის ტალღები...

ბიჭვინთის ფიჭვნარი მომხდური სტიქიის წინააღმდეგ ისეთსავე ფორპოსტის როლს ასრულებს, როგორსაც აქ ოდესღაც მტრის შემოსევისას ადამიანის ხელით ნაშენები საფორტიფიკაციო ნაგებობანი. ფიჭვები ინარჩუნებენ ზღვის სანაპირო ზოლს, რომელიც კურორტოლოგიური და ესთეტიკური თვალსაზრისით თითქმის უბადლოა ჩვენს ქვეყანაში.

იყო დრო, როდესაც ადამიანები სათანადოდ ვერ აფასებდნენ ფიჭვის ნაპირდაცვით, საკურორტო დანიშნულებას თუ სხვა თვისებებს. სამოციანი წლებიდან ამ მიდამოებში ნაკრძალის რეჟიმის გამკაცრების შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა, აბიბინდა ფიჭვის ამონაყარი, რის გამოც მცენარის თაობათა ცვლას უკეთესი პირი უჩანს. ამას დაემატა სხვა გარემოებაც — კონცხის წვერთან ზღვამ რამდენადმე უკან დაიხია. სამაგიეროდ, ახლა იერიშზე ფიჭვნარი გადავიდა, სულ ახალ-ახალი თესლი იძლევა სიცოცხლის ღივს ზღვის სანაპიროზე.

გეოლოგიურ წარსულში დასავლეთ ამიერკავკასიის როგორც ზღვისპირეთი, ისე მახლობელი მთის კალთები ტიპური სუბტროპიკებით იყო დაფარული. პლიოცენში აქ ხარობდა თანამედროვე ხმელთაშუა ზღვის ტიპის (მაკვისი) ნახევრად მშრალი ჰავის მოყვარული სუბტროპიკული, მარადმწვანე ფლორა, უფრო ადრე— მიოცენში კი ტენის მოყვარულ მცენარეთა სუბტროპიკული თანასაზოგადოებები (მათი მსგავსნი, უმთავრესად დაფნისნაირები, ახლა წარმოდგენილია შორეულ კანარისა და მადეირას კუნძულებზე). გლობალური აცივების შედეგად დასავლეთ ამიერკავკასიაში ჯერ მიოცენისათვის დამახასიათებელი ცოცხალი ორგანიზმები ამოწყდა, შემდეგ ხმელთაშუა ზღვისათვის ტიპურმა ორგანიზმებმაც დათმეს პოზიციები. მხოლოდ თბილი, მოალერსე შავი ზღვის წყლებმა და ბიჭვინთის კონცხის სიმყუდროვემ შეიფარა აქ ხმელთაშუაზღვეური ფლორის უკანასკნელი მოჰიკანები, მათ შორის ხემარწყვა, ხემანანა და ბიჭვინთის უნიკალური ფიჭვი.

ბუნებას თავისი კანონები აქვს. დღეს თუ ადამიანი არ ამოუდგა მხარში ბუნების ამ იშვიათ ძეგლს, იგივე ზღვა წალეკვით ემუქრება წიწვოვანი მცენარის რელიქტურ ხეივანს და, სხვათა შორის, არა მარტო ტყის ამ ვიწრო ზოლს...

არნოლდ გეგეჭკორი.

სპორტის ამბები

„სპილო"-თავის კლასში საუკეთესო

რიგაში გაიმართა თვითნაკეთი საავიაციო ტექნიკის V საკავშირო დათვალიერება-კონკურსი, რომელსაც წლეულს ულტრამსუბუქი და მსუბუქი საავიაციო ტექნიკის ავიასალონი ეწოდა.

ავიასალონი ჩინებულად წარიმართა. მონაწილეებისა და მაყურებლებისათვის ქალაქის თავზე საჰაერო ექსკურსიებიც კი ეწყობოდა.

წარმოუდგენელი იყო 100-ზე მეტი მსუბუქი და ულტრამსუბუქი თვითმფრინავი, 72 მოტოდელტაპლანი, 2 ავტოჟირი, 25 სხვადასხვა კონსტრუქციის ძრავა, მრავალგვარი საავიაციო ხელსაწყო და თანამედროვე მასალები.

დათვალიერება-კონკურსში საქართველოს უკვე მეორედ წარმოადგენდა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების ტექნიკური შემოქმედების კლუბი.

წლეულს კლუბმა წარადგინა ულტრამსუბუქი თვითმფრინავი „სპილო". იგი ერთადგილიანი, ცალძრავიანი თვითმფრინავია, ფრთების რბილი შემონაკერით და 150 კილოგრამი „სუფთა" წონით (უსაწვავოდ და უპილოტოდ). თვითმფრინავის ზოგიერთი ტექნიკური მახასიათებელი ასეთია: ფრთაგანი — 8,6 მეტრი, სიგრძე — 5,3 მეტრი, სიმაღლე — 2,9 მეტრი, ასაფრენი წონა 250 კილოგრამი, ფრენის სიჩქარე — 90 კილომეტრი საათში. ფრენის სიშორე 200 კილომეტრი.

„სპილომ" ორი ჯილდო მიიღო: კონკურსის უმაღლესი წოდება — თავის კლასში საუკეთესო და კაბინის საუკეთესო დიზაინისათვის.

გარდა ამისა, ტექნიკურმა კომისიამ „სპილოს", როგორც იაფ და კარგ თვითმფრინავს, რეკომენდაცია მისცა ყველა დამწყები თვითმოქმედი ავიამშენებლისათვის.

იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებში, რომლებიც აპირებენ ულტრამსუბუქი საფრენი აპარატების დანერგვას და გამოყენებას თავიანთ საქმიანობაში, „სპილომ" დიდი ინტერესი გამოიწვია. მართლაც, ამ ტიპის საფრენ აპარატებს დიდი პერსპექტივა აქვს — შეიძლება გამოვიყენოთ აეროფოტოგადაღებისათვის, პატრულირებისათვის, მსუბუქი ტვირთის გადასატანად, სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით — რთული რელიეფის პირობებში. „სპილოს" ასაფრენად სულ 30 მეტრი სიგრძის სწორი მონაკვეთი სჭირდება. მზადდება რამდენიმე ხელშეკრულება მისი კომერციული გამოყენებისათვის (დასანანია, რომ შემკვეთთა შორის არც ერთი არ არის საქართველოდან).

ავიასალონზე, საკმაოდ რთული და მკაცრი გამოცდის შემდეგ (ფრენის თეორიის საფუძვლების შემოწმება და უცნობ ორადგილიან თვითმფრინავზე პილოტ-ინსტრუქტორთან ერთად ფრენა), საქართველოს სამმა წარმომადგენელმა დაიმსახურა მოყვარული პილოტის წოდება. ესენი არიან: თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების თანამშრომლები მერაბ ლაბაძე, გიორგი გეგენავა და ალექსანდრე კომაროვი.

ალექსი ალექსიშვილი.

სატურნირო ორბიტა

● **ფეხბურთი.** გაიმართა ნახევარფინალური მატჩი პირველი ლიგის თასზე. „პახთაკორი" შეხვდა სტავროპოლის „დინამოს" და გაიმარჯვა — 4:2.

მეორე ნახევარფინალური მატჩი არ გამართულა. ბაქოს „ნეფთჩი" არ ჩავიდა ლანჩხუთში სათამაშოდ. მას წაგება ჩაეთვალა.

ამრიგად, 21 ოქტომბერს ნეიტრალურ მოედანზე ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „პახთაკორი" და „გურია".

● **ველოსპორტი.** საბჭოთა ნაკრებმა, რომელშიც ლენინგრადელი სპორტსმენები გამოდიოდნენ, ვერცხლის მედალი მოიპოვა საფრანგეთში, ლიონში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე 4 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში. ჩემპიონები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ველომრბოლელები გახდნენ.

● **ჭადრაკი.** შვეციის ქალაქ შელეფტეოში მიმდინარე ვაჟთა მსოფლიო თასის პირველი გათამაშების უკანასკნელი, VI ეტაპის V ტური გათამაშდა. ვალერი სალოვი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვთან ერთად სათავეში იდგა გათამაშებას, ინგლისელ დიდოსტატ ნაიჯელ შორტთან დამარცხდა. დაზავდნენ კასპაროვი — ანდერსონი, ნანი — კარპოვი, საქსი — ტალი, პორტიში — ჰიუბნერი, ვაჰანიანი — ნიკოლიჩი, სეირავანი — რიბლი.

5 ტურის შემდეგ 3,5 ქულით დაწინაურდა გარი კასპაროვი.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

ტელევიზია — კვირა, 20 აგვისტო

თბილისი

პირველი პროგრამა. 10.05 — გასართობი პროგრამა. 11.00 — გარდაქმნის წახნაგები. სამეურნეო მექანიზმი: სიახლენი, პრობლემები, 11.30 — კინოაფიშა. 11.50 — მოსწავლეთათვის. შეხვედრა რეჟისორთან. 13.15 — პოლარული მფრინავი. 13.40 — „ვესტნიკი". 14.10 — ლიტერატურული თეატრი — „პორტრეტი" (განმეორებით). 15.00 — ხალხური შემოქმედება — კონცერტი. 15.55 — საკვირაო გამოფენა. 16.05 — „ჯანმრთელობა". სატელევიზიო პროგრამა. 16.30 — მსოფლიოს საოპერო მუსიკის საგანძურიდან. ჯ. ვერდის ოპერა „ტრავიატა". 18.35 — ხალხური შემოქმედება — რაღაც უნდა გადარჩეს... 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მოსკოვიდან). 19.45 — ძილისპირული. 20.00 — საინფორმაციო პროგრამა მოამბე. 20.35 — „შევარდენი". სპორტული გადაცემა. 21.05 — კირიონი — ქართული ფოლკლორის მოამაგე. 22.00 — საინფორმაციო პროგრამა „ვრემია". 22.40 — „ეს სიმღერაა საქართველოსი". 22.55 — საფეხბურთო მიმოხილვა (მოსკოვიდან). 23.25 — შეხვედრა მშრომელებთან.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 10.00 — დილაადრიან. 11.00 — „ვემსახურები საბჭოთა კავშირს!". 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — მსოფლიოს გარშემო. ალმანახი. 13.30 — „ასი სიხარული ანუ დიად აღმოჩენათა წიგნი". მხატვრული ფილმი. 14.35 — მუსიკალური კიოსკი. 15.05 — დღეს სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეა. საუბარი. 15.20—სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმები. 16.15 — ღია კარის დღე. 17.00 — „მიყვარხარ, სიცოცხლევ". ტელეფოტოკონკურსი. 17.05 — მხატვარი ა. შილოვი. რეპორტაჟი მანეჟში გამართული გამოფენიდან. 17.40 — „ცისარტყელა" — ურუგვაის პროგრამა. 18.00 — სოფლის საათი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — საკვირაო კინოდარბაზი. მულტფილმი. დოკუმენტური ფილმი „კიდობანი". 20.25 — „ჩქარი მატარებელი" — მხატვრული ფილმი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გამარჯობა, ექიმო!". 22.55 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.25 — ახალგაზრდული კინო.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — ფილმ-კონცერტი. 10.10 — დოკუმენტური ფილმები. 11.05 — „სიმღერა-89". 11.20 — „საქმე, რომელიც შეიძლება არ ყოფილიყო". გადაცემა ტაშკენტიდან. 11.55 — სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი საავიაციო-სპორტული დღესასწაული. 14.15 — დოკუმენტური ფილმი. 14.25 — პ. ჩაიკოვსკის ნაწარმოებებს ასრულებს ი. არხიპოვა. 15.05 — მულტფილმი. 15.10 — „როცა ჯარისკაცები 'მღერიან'". 16.50 — ტელეფილმი. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — მხატვრული ტელეფილმი „სიბრძნის ანბანი". 19.15 — სატელევიზიო მუსიკალური აბონემენტი — „გ. როჟდესტვენსკი მუსიკოს-განმანათლებელი". ფრანგ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს ასრულებს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. 20.15 — „სიტუაცია". გადაცემა ასტრახანიდან. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 და 23.15 — ევროპის ჩემპიონატი წყალჯომარდობაში. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გამარჯობათ, ექიმო!". 22.55 — ა. პ. ჩეხოვის ნაწარმოებთა ეკრანიზაცია. მხატვრული ტელეფილმი. 24.00 — ეს აღელვებს მსოფლიოს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 00385 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ##. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14